# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 იანვარი, 2011 წელი.

№14 (6625)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## საქართველოში ერთი კაცი წყვეტს ყველაფერს და... ⑧ (ვაი ამ გადაწყვეტას!)



## ნაღდად ⑥ ბურებიდა გვაკლდნენ სრული ბედნიერებისთვის!

## ზურაბ ნოღაიდელი მერაბიშვილთან დამარცხებას აღიარებს ②

## ჟურნალისტური ეთიკის ③ ნორმების დამკვიდრება, სოროსის თავსმოხვეული ქარტია თუ მაყუთის ჩალიჩი?





დიდი ცხოვრება

## ⑤ ჟამი დაფიქრების და გამოღვიძებისა

## შეხვედრა საპატრიარქოში,

### ანუ „იმედი“ უიმედობის დანერგვის მჩქეფარე წყაროდ იქცა

*უნდა შევრიგდეთ, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ, რასაკვირველია, არა სიმართლისა და ჭეშმარიტების ცილისწამებით დაკნინების ხარჯზე*

## შაშიაშვილი ყველას ④ გასაგონად კი აცხადებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ხმა მაინც არავის არ ესმის





## ვარსკვლავად იქცა ვარსკვლავი ⑨



# პატრიარქი აფხაზეთს ეწვევა

როგორც გუშინ, საპატრიარქოში სტუმრობისას ჩვენთან საუბარში აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა განაცხადა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 4 თებერვალს ათდღიანი ვიზიტით ბრიტანეთში გაემგზავრება. პატრიარქი იქ კენტენბერიის არქიეპისკოპოსმა მიიწვია. ილია მეორე მოილოცავს ლონდონში მოქმედ ქართულ ეკლესიას, რომელსაც ახალი სისხლი უნდა შემატოს და გაძლიერდეს, შეხვდება დიდი ბრიტანეთის დედოფალს და ქვეყნის ანგლიკანური ეკლესიის მეთაურს, ქართულ დიასპორას.

დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნების შემდეგ დაგეგმილია პატრიარქის ვიზიტი აფხაზეთში. წარსული საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირების, ძმათამკვლელი ომის შემდეგ ეს იქნება უწმინდესის პირველი ვიზიტი მშობლიურ აფხაზეთში. მისი, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ჩაბრძანება აფხაზეთში, იქაური ეკლესია-მონასტრების მოლოცვა, რიგით მოქალაქეებთან შეხვედრა, ჩვენი ღრმა რწმენით, აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის, გულახდილი დიალოგის დაწყების საწინდარი უნდა გახდეს...

გურამ სოლომონია

ვიზიტი

# სომხეთი ჩვენთან განხორციელებული რეფორმებით დაინტერესდა

**პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სომხეთში ვიზიტი შეაჯამეს.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ აღნიშნა, 22-23 იანვარს სომხეთში პრეზიდენტის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ორი ქვეყნის განსაკუთრებული ურთიერთობები.**

— ჩვენი შეფასებით, ეს იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო ვიზიტი. პირველ რიგში, მისი ახალი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და სომხეთის ახალ თაობებს შორის ურთიერთობა მარტო პოლიტიკური თანამშრომლობით აღარ შემოიფარგლება და უკვე შემოდის საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო ასპექტები, — აღნიშნა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტებმა შეხვედრაზე ორი ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.

— იგულისხმება ის თემები, რომელიც ორი ქვეყნის ინტერესებში შედის. ეს ეხება განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკური ინვესტიციების მოზიდვას, მოქალაქეთა გამარტივებულ გადადგილებას და ამ მხრივ ახალი რეჟიმის შემუშავებას, — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

* * *

**ოფიციალურ ერევანს საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების გამოცდილების გაზიარება სურს.**

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, შესაბამისი დაინტერესება სომხეთის მხარემ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერევანში გამართული შეხვედრისას გამოთქვა.**

— ოფიციალურმა ერევანმა გამოხატა დაინტერესება, რომ მათი მხრიდან მოხდეს საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და წარმატებითი განხორციელებული რეფორმების განხორციელება. ეს ძალიან გვახარებს და გვინდა, რომ ჩვენი გამოცდილება მთელ რეგიონში გავრცელდეს. მისასალმებელია, როცა მეზობელი სახელმწიფოები საქართველოში მიმდინარე პროცესებს პოზიტიურად აფასებენ, — განმარტა კალანდაძემ.

დევნილები

## დახმარებას უცხოელებს სთხოვენ

**გუშინ პარლამენტის წინ დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ინიციატივით, საინფორმაციო ბრიფინგი გაიმართა, რომელზეც დევნილებმა სამოქმედო გეგმის შესახებ განცხადება გააკეთეს.**

სამომავლოდ დევნილები პროტესტის ყველა ფორმის გამოყენებას აპირებენ და საელჩოებსაც მიმართავენ. არც სტრასბურგის სასამართლოს გამორიცხავენ, მათ სარჩელებზე უკვე მუშაობენ ადვოკატი ლია მუხაშავრია და „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ნინო ციხისელი.

დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თანათავმჯდომარე დიმიტრი ომანაძე ამ ფაქტის კომენტირებისას აცხადებს, რომ მალე თავშესაფრის მოთხოვნით დევნილები აშშ-სა და ევროპის საელჩოებს მიმართავენ და მათ დახმარებას სთხოვენ.

როგორც „კონსერვატიული პარტიის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, არსებობს ინფორმაცია, რომ ბაკურციხეში გადალებული აღფრთოვანებული ქალბატონი, სინამდვილეში, სუზელიანის ყოფილი მოადგილის ბესო წერედიანის ნათესავია. იგი ამჟამადაც სამინისტროს ფინანსურ განყოფილებაში მუშაობს.

„ხალხის პარტიის“ წარმომადგენლის ალექსანდრე შალამბერიძის განმარტებით კი, დევნილთა გაქურდვის ფაქტები გახშირდა.

— დევნილთა გასახლების დროს ნაციონალების მიერ დაქირავებული ე.წ. მუშები, სინამდვილეში, მათ ქურდავენ, — აცხადებს შალამბერიძე.

## გამოსახლება გრძელდება

**როგორც კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, გამოსახლება ხორციელდება ვარკეთილის მეოთხე მიკრორაიონში მდებარე 185-ე, ჩხეიძის 8-დან და ზუბალაშვილების 42-დან.**

ჩხარტიშვილის თქმით, სამივე ობიექტზე გამოსახლება გუშინ დილის 07:00 საათიდან დაიწყო.

2011 წლის 20 იანვრიდან დევნილთა გამოსახლება სხვადასხვა ობიექტებიდან ყოველდღიურად ხდება.

შიშის ფაქტორი

# ზურაბ ნოღაიდელი მერაბიშვილთან დამარცხებას აღიარებს

## „ადეიშვილთან ადეიშვილის წინააღმდეგ როგორ გვეჩივლა?“

**„ჩვენს პარტიაში პრობლემები არ არსებობს. ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი. თუ რამის თავი აქვთ, იმოქმედონ“, — ასეთი განცხადება გააკეთა ჩვენთან საუბარში ზურაბ ნოღაიდელმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ თანაპარტიელთა ერთმა ნაწილმა პარტიის თავმჯდომარეობიდან საკმაოდ სკანდალურად გადააყენა. მათ ნოღაიდელის მისამართით არაერთი ხმაურიანი ბრალდება წამოაყენეს, ოპონენტები მისგან ფინანსურ დოკუმენტაციას ითხოვენ, სადაც წესით, უამრავ დარღვევას ეძებენ, თუმცა ნოღაიდელი იმაზე მშვიდად გამოიყურება, ვიდრე ოდესმე.**

**გთავაზაობთ მასთან ინტერვიუს.**



**— ბატონო ზურაბ, თქვენს პარტიას არცთუ სასიამოვნო ახალი წელი დაუდგა.**

— თქვენ, ალბათ, ბოლოდროინდელ მოვლენებს გულისხმობთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენს პარტიაში პრობლემები არ არსებობს. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა, ეს შიდაპარტიულ დაპირისპირებად წარმოეჩინა. სამწუხაროდ, საზოგადოებამაც დაიჯერა.

მთავარი ის არის, რომ ყრილობა, რომელიც ჩვენმა ოპონენტებმა დეკემბერში ჩაატარეს, უკანონოდ დაიგეგმა, ასევე უკანონოდ ჩატარდა და იუსტიციის სამინისტრომაც უკანონოდ გაატარა რეგისტრაციაში.

ჩვენ შემთხვევითი ორგანიზაცია ხომ არ ვიყავით. თუკი ყრილობა ჩატარდებოდა, მასში მონაწილეობა 67 რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ. იქ კი 6-7 რაიონული ორგანიზაციის რამდენიმე წევრი და სრულიად გაუგებარი წარმოშობის ხალხი მივიდა. სხვათა შორის, პეტრე მამრაძემ კარგად შენიშნა, თუკი ეს ადამიანები ჩემი თანამოაზრეები არიან, მე მათთან საერთო არაფერი მაქვს, მათთან ერთად არც რაიმე საკითხის განხილვას არ ვაპირებო.

**— მიუხედავად ამისა, მათ მიაღწიეს იმას, რაც დაგეგმეს. თქვენ ჩივილს არ აპირებთ?**

— გვქონდა არჩევანი, იურიდიული პროცედურებისთვის მიგვემართა და ბრძოლა სასამართლოში გაგვეგრძელებინა, როგორც ეს ნორმალურ ქვეყანაში ხდება ხოლმე. მაგრამ იმის ილუზია ნამდვილად არ გვქონდა, რომ სამართლიან განაჩენს გამოიტანდნენ. წარმოიდგინეთ, ჩვენ ადეიშვილთან უნდა გვეჩივლა ადეიშვილისთვის და რა აზრი ექნებოდა?! ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ჩვენ კინკლაობაში ჩაგვითრევდა, შექმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ეს შიდაპარტიული კონფლიქტია, რაც ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ: შევქმენით ახალი პარტია ძველი შინაარსით. სააკაშვილის რეჟიმს დღეს თუ არა ხვალ კისერს მოვუგრეხთ. ჩვენ ორი კონკურენტული უპირატესობა გვაქვს, სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების უნარი და გამოცდილება, ასევე რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შესაძლებლობა და ცოდნა.

**— რა ერქმევა თქვენს პარტიას?**

— „სამართლიანი საქართველო“. პარტიის რეგისტრაცია მარტივი არ არის. როცა პარტია დავაფუძნეთ 2008 წელს, 6 თვე დაგვჭირდა დასარეგისტრირებლად. ალბათ, ახლაც გააჭიანურებენ ამ პროცედურას. რაც უნდათ, ის ქნან, სულაც არ მაინტერესებს.

**— ვანო მერაბიშვილმა, თუკი ეს მართლაც მისი დაგეგმილი იყო, კარგად დაასრულა თავისი ჩანაფიქრი. თქვენივე შექმნილი პარტიის თავმჯდომარეობიდან ძალიან მარტივად გადაგაყენათ, რისი პრეცედენტიც აქამდე არ გვსმენია...**

— შეიძლება ეს მართლაც მისი წარმატებაა, მაგრამ მხოლოდ დროებითი. მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები, რით დავიმსახურეთ ასეთი ყურადღება. არჩევნების შემდეგ მაინცდამაინც დიდი აქტიურობით არ გამოვირჩეოდით, მხოლოდ კონსულტაციებს ვაწარმოებდით პარტიის ლიდერებთან. როგორც ჩანს, მათ უკეთ იციან, ელოდნენ თუ არა ჩვენგან ხიფათს. დიახ! ეს არ არის სასიამოვნო, მაგრამ არც ტრაგედიაა. ჩვენთვის ის, რისი გაკეთებაც მერაბიშვილმა მოახერხა, დიდი არაფერია, თუმცა ამ ეტაპზე წარმატება მის მხარესაა.

**— თქვენგან ფინანსურ დოკუმენტაციას ითხოვენ და „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრები თქვენს მიმართ გარკვეულ ბრალდებებს გამოთქვამენ.**

— არ მაინტერესებს. თუკი მერაბიშვილი მოვა ან თავის წარმომადგენლებს გამოგზავნის, შეიძლება მივცე კიდეც დოკუმენტები (თუ კარგ ხასიათზე ვიქნებიძ, მაგრამ ის ხალხი, ვინც დაგვიპირისპირდა, აქ მოსვლას ვერ მობედავს. ისინი არარაობები არიან და მათთან ლაპარაკს არ ვაპირებ.

**— ხომ შეიძლებოდა ეს დავიდარაბა თავიდან აგეცილებინათ და დავალიანებები დროზე გაგესტუმრებინათ?**

— ფული აქ არაფერ შუაშია. პირადად მე არავის ვალი არა მაქვს. თუ ფინანსურ საკითხებზე ვლაპარაკობთ, ვანო მერაბიშვილის აგენტები ჩემგან ერთ თეთრს ვერ მიიღებენ. პირიქით, მათ ჩემი ვალი აქვთ.

**— თქვენი რა ვალი აქვთ?**

— ის ფული, რაც საარჩევნო კამპანიისთვის დავხარჯე. მათ ის შედეგი უნდა მოეტანათ, რა ხმებიც რეალურად მივიღეთ და არა ის, რაც მერაბიშვილთან შეთანხმებით გააფორმეს. კარგად დავთვლი იმ ფულს, რაც მაგალითად სერგო ჯავახაძეს გადავუხადე სამგორის რაიონში და იმ შედეგებს, რაც მოგვიტანა. მისგან ფულს კაპიკ-კაპიკ ამოვიღებ.

**— მაგრამ იმათ რას უშვრებით, ვინც გულწრფელად გეხმარებოდათ არჩევნებზე, მაგრამ თანხა არ გადაუხადეთ?**

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ. პირადად მე არავის ვალი არა მაქვს და არც არავინ არ მედავება. ეს ყველაფერი სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის სცენარია, რასაც აუცილებლად ვანანებ. სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი გარდაუვალია. ესენი ხელისუფლებას იმით ინარჩუნებენ, რომ უმრავლესობა მათ მხარს შიშის ფაქტორით უჭერს, ხოლო რეალურად გულწრფელ მხარდამჭერთა რიგები უფრო და უფრო მცირდება. როგორც კი შიშის ფაქტორი მოიხსნება, სულ სხვა შედეგი დადგება...

ესაუბრა
**თეა მოსია**

ხლოპინინის გეგმა

# რუსეთმა კავკასიის დაშლა-დაცლა დაიწყო

**რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობისგან დაცლას ვერ შეძლებს.**

**ამის შესახებ კავკასიის საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ ჩრდილოეთ კავკასიაში „ხლოპინინის გეგმის“ შეფასებისას განუცხადა.**

— კავკასიის დაცლა გამორიცხულია, რადგან კავკასიელები ძალიან კარგად ხვდებიან იმ გეგმას, რაც რუსეთს აქვს. მათ უნდათ მორჩილებაში ჰყავდეთ კავკასია და ამიტომ ცდილობენ, სოციალური აფეთქება თავიდან აირიდონ და მაქსიმალურად მოიშორონ ის ხალხი, ვინც სოციალური აფეთქებისთვის კარგი მასალაა. თუმცა, კავკასიიდან ფეხის გამდგმელი, როგორც რუსეთს წარმოუდგენია, არავინ არ არის და ეს თუ მოხდა, ამას სერიოზული დაპირისპირება მოჰყვება. ეს მოსკოვში კარგად ესმით, — აღნიშნა არეშიძემ.



იმ შემთხვევაში, თუ კრემლი იძულების პოლიტიკით გადაწვეტს კავკასიელების გადასახლებას, ამას იატაქვეშეთის გაათმაგება და გაოცმაგება მოჰყვება, ამის გათვალისწინებით კი, არეშიძე ფიქრობს, რომ კრემლი მსგავს ავანტიურაზე არ წავა.

— ამ გეგმას კარგად ვიცნობ. მისი ერთი პუნქტი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული. ითვალისწინებენ, რომ უმუშევრობის დონე ჩრდილოთ კავკასიაში ძალიან მაღალია და ზოგიერთ რესპუბლიკაში 50%-ს აჭარბებს, მაგალითად ინგუშეთში, ამიტომ ვთავაზობთ ჭარბ უმუშევართა დასაქმებას ცენტრალურ რუსეთში და ურალის ქარხნებში, ანუ ეს არის ერთგვარი ვითომ გამოსავალი იმ სიტუაციიდან, რაც სოცილური თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიაშია შექმნილი, — განმარტა არეშიძემ.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს „ხლოპინინის გეგმის“ გამოქვეყნებისას აღნიშნული პუნქტი მომენტალურად აღქმული იქნა, როგორც კავკასიელთა ახალი გადასახლება თავის მიწებიდან, რამაც მძაფრი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია არა მხოლოდ იქ მცხოვრებ ხალხში, ასევე ზოგიერთი ხელმძღვანელის დონეზეც კი.

— შეიძლება ახლა იწყება ამ პროექტის რეალიზაცია, მაგრამ იქ გათვალისწინებული იყო, რომ ეს ნებაყოფლობითია. თუმცა, რუსეთის შემთხვევაში ნებაყოფლობითობა ყოველთვის დაცული არ არის და იძულებით ფორმას იძენს, — აღნიშნა ექსპერტმა.

აღსანიშნავია, რომ „ხლოპინინის გეგმის“ მიხედვით რუსული მხარე ჩრდილოეთ კავკასიიდან 500 000 ადამიანის ცენტრალურ რუსეთში შრომითი მიგრანტების სტატუსით გადასახლებას გეგმავს, რომელსაც ორგანიზებას საერთო რეგიონალური რესურს-ცენტრი გაუწევს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## თვალსაზრისი

# ქარტია თუ მაყუთის ჩალიჩი...

ახლა რომ ვთქვა, „მილიონჯერ მაქვს ნათქვამი, რომ ეს ჩვენი ხელისუფლება, თავის უცნაურ „გამოხდომებს“ უიკენდის დროს სჩადისო“, შეიძლება ვიღაცეებმა არასწორი ციფრის მოყვანის გამო სასტიკად გამაკრიტიკონ (ზუსტად „მილიონჯერ“ ნამდვილად არ მაქვს ნათქვამი).

თურმე, მარტო ჩვენს ხელისუფლებას არ ჰქონია მსგავსი თვისება.

23 იანვარს შერატონში იმ ჟურნალისტური ქარტიის შეკრება გაიმართა, რომლის მიზანს ქართულ მასმედიაში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დამკვიდრება წარმოადგენს.

ამ შედარებისთვისაც შეიძლება მიჩივლონ ზემოთ ნახსენები „ქარტიის“ წევრებმა.

იმ „ქარტიისა“, რომლის თაოსნობაც „ცნობილმა ჟურნალისტებმა“ იკისრეს, რომლებიც სოროსისგან ფინანსდებიან და რომლებმაც ამ ე.წ. „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ ხელმოწერაზე, დასავლური ცივილიზაციის მიერ დამკვიდრებული ფრაზეოლოგიით რომ ვთქვა, „ქვორუმიც ვერ შეიკრიბეს“.

არადა, ასეთ სიტუაციაზე, რუსი ლოთები ძალიან მარტივად ამბობენ, „სამნიც ვერ შეიკრიბნენო“.

რას იზამ, ყველა თავისებურად ხედავს „თანამოაზრეთა“ რაოდენობას.

პრინციპში ქვორუმი როგორ შეიკრიბებოდა, როცა ეს „ლონისძიება“ და მისი ორგანიზატორები კარგა ხანია „ღამურას“ როლში აღმოჩნდნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ და, „ქარტიელები“ არც ხელისუფლებას და მათ „პროპაგანდისტებს“ „ევასებათ“ და არც ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტები „ეხუტებიან“ მაინცადამაინც („მწვანე კროსვორდებს“ და „სუდოკუს“, ეგენი არც დაუძახებდნენ).

რაღა დაგიმალოთ და, როდესაც ოდნავ ზემოთ სიტყვა „მიზანი“ დავწერე, ძველი, ძალიან ძველი მრავალსერიანი მხატვრული ფილმი, „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ გამახსენდა.

გამახსენდა ფილმის მთავარი გმირი, ობერლეიტენანტი ჰანს კლოსი, რომლის აგენტურული კოდი „ია 23“ იყო.

გამახსენდა და უცებ წარმოვიდგინე, თუ რას ეტყოდა ფიურერ სოროსის მიერ, საქართველოს გაულაიტერად დანიშნული რომელიღაც შტანდარტენფიურერი, ადგილობრივ ჰანს კლოსს (ანუ „ია 23“-ს, რომელიც ხაზზეა!) იმ ფაქტის შემდეგ, როდესაც მეტეხის დარბაზის დაქირავებაში გადახდილი, საკმაოდ სოლიდური თანხის მიუხედავად „აღმოაჩენდა“, რომ ქარტიამ ქვორუმი ვერ შეკრიბა.

ვერ შეკრიბა და ამიტომაც წესდებაში ცვლილებები ვერ განხორციელდა.

არადა, საოცარი დღის წესრიგი იყო ჩამოწიკწიკებული.

„სამუშაო დროც“ კარგა გვარიანად დატვირთული და საქმიანი გახლდათ.

თანაც ისეთი ნამეტნავად „დემოკრატიულ-ლიბერალური“ სიტყვები ეწერა დღის წესრიგში, რომ თავი კინაღამ დასავლური ცივილიზაციის მომხრეთა მიერ, ჩვენთვის ინგლისურის უკეთ სწავლების მიზნით ტელევიზიის, საღამოს ეთერში გაშვებულ ფილმების ცქერის დროს დივანზე წამოწოლილი მეგონა.

გთავაზობთ ნაწყვეტებს (სტილი დაცულია):

. . .

12:00 – 12:05 – დღის წესრიგის გაცნობა, მოდერატორი;




12:05 – 12:35 – საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება რეგიონებში მოქმედი მედია საშუალებებიდან;

13.05 – 13:35 – საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება ნაციონალური მედია საშუალებებიდან.

(ამ ორივე პუნქტში, ცოტა კორექტურა გაეპარათ, მაგრამ ეგ არაფერი, ჯერ სადა ხართ. პრინციპში დემოკრატიაა და რას იზამ).

. . .

15:00 – 15.05 – საარჩევნო პროცედურის გაცნობა, მოდერატორი;

. . .

16:45 – 16:50 – ბლოგის პრეზენტაცია;

16:50 – 17:20 – „Champagne Reception“.

რავარია?

ძაააააალიან მაგარი! (ნეტა რა ღირს მეტეხში დარბაზის ერთი საათით დაქირავება?).

რაღა დაგიმალოთ და, ის ცვლილებები, რაც ე.წ. ქარტიის წესდებაში უნდა შეეტანათ, ნორმალურად ჩამოყალიბების შემთხვევაში, ძალიან საინტერესო და მისაღები იქნებოდა (ეჰ, ქვორუმს და კიდევ რაღაც რაღაცეებს რა ვუთხარი, თორემ).

თავიდან საკმაოდ საინტერესო და ბოლოში სასაცილო იყო ის ცვლილება, რომელიც ცვლიდა „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს საქმისწარმოების წესს“ და მას უნდა დამატებოდა მე-6-ე (პრიმად მუხლი, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით (ტექსტი აბსოლუტურად ზუსტად გადმოვწერე):

1. საბჭოს უფლება აქვს განიხილოს განცხადება, რომელიც ეხება იმ პირის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევას, რომელიც არ არის ქარტიის წევრი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეთიკის საბჭო. მითითებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრს მინუს ერთი წევრის თანხმობა.

3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების განხილვის შემთხვევაში საბჭო შეიმუშავებს განცხადების (საბჭოს პოზიციის, მოსაზრებისძ ტექსტს, რომელშიც მიუთითებს არაწევრის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევაზე ან დარღვევის არარსებობაზე.

აღნიშნული განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვეტილება არ მიიღება.

კარგით, ამ წერტილ-მძიმეებს თავი დავანებოთ, მაგრამ თუ „აღნიშნული განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვეტილება არ მიიღება“, მაშინ...

აუუუ, ვერ გავიგე!

ეგ ალბათ იქ იციან. ზევით!

არადა თავიდან რა კარგად დაიწყეს?

დედას გეფიცები, პირველ პუნქტს, აბსოლუტურად ვეთანხმები.

ვეთანხმები იმიტომ, რომ თუ რომელიმე ფიზიკის მასწავლებელს დასჯიან იმისთვის, რომ შეგნებულად მოიტყუა და თქვა: F=123mch (ან რაღაც მსგავსი სისულელე), როცა რომელიმე კალათბურთელს აუცილებლად გააგდებენ გუნდიდან, იმიტომ, რომ მან შეგნებულად საკუთარ კალათში ჩააგო ბურთი. როცა ვინმე „დიზაინერს“, კაბის ნაცვლად შარვლის შეგნებულად შეკერვის გამო, კლიენტი „სულ ბუწუწებს“ დააცლის, და მათს შეგნებულ ქმედებას (კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს სიტყვას „შეგნებული“), დაგმობენ პედაგოგები, კალათბურთელები, დიზაინერები და ამ ინფორმაციებს გაავრცელებენ ჟურნალისტები, მაშინ რატომ არ უნდა მოყვეს რეაქცია ჟურნალისტის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას? რატომ არ უნდა ითქვას საჯაროდ ის, რომ სახელისუფლებო ტელეკომპანიების ჟურნალისტები არიან კორუმპირებულნი, საკუთარი პროფესიისა და სინდისის გამყიდველნი და რატომ არ უნდა გავრცელდეს მათ მიერ მოწოდებული დეზინფორმაციები და ამ დეზინფორმაციის მამხილებელი მასალები?

თქვენც ხომ ეთანხმებით?

რატომაც არ უნდა ითქვას ის, თუ რომელი ჟურნალისტი, რომელი გამოცემა რა „სულის“ მატარებელია.

რატომ არ უნდა ითქვას, თუ რა უნდა სინამდვილეში ამ ხალხს, ჩვენი მკითხველისგან და ჩვენი მოსახლეობისგან.

პირველი პუნქტი, მართლაც კარგი და მისაღებია.

ჰოდა ამ მეორე, მესამე და განსაკუთრებით მეოთხე პუნქტის დაწერის დროს რაღა დაემართათ?

რაო, ვინმემ დაურეკა „ზემოდან“ და თქვა, რომ განცხადების მიღების პროცედურა მეორე მუხლში გაართულეთ და ევროსაბჭოს დასკვნების მსგავსად უაზრო გახადეთო? (განცხადების განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეთიკის საბჭო. მითითებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრს მინუს ერთი წევრის თანხმობა) და ყოველი შემთხვევისთვის, მესამე მუხლში თქვით, რომ საქართველოს დასავლეთელი „მეგობრების“ მსგავსად, მხოლოდ „შეშფოთდებითო?“.

რა ვქნა, არ მჯერა მე ამ „ქარტიების“.

არ მჯერა თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზების გამო, რომ:

1. სოროსისგან არის დაფინანსებული და... (აღარ დავაკონკრეტებ. მეზარებაძ.

2. იქ წერია, რომ „აღნიშნული განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვეტილება არ მიიღება“. ე.ი. მესამე მუხლში ნათქვამი „შეშფოთებაც“ არ გამოითქმება.

3. წერტილ-მძიმეზე, რომ არაფერი ვთქვა, აზრის ნორმალურად ჩამოყალიბებაც არ შეუძლიათ (იხილე „ქარტიაში“ შესატანი ცვლილებების ტექსტიძ.

და რაც ყველაზე მთავარია: არ მჯერა იმიტომ, რომ მიუხედავად ამდენი ხნის არსებობისა, ჯერჯერობით მათგან ვერც ერთი გაკეთებული საქმე ვერ დავინახე.

არა, თუ სოროსისგან გრანტების „პონტში“ რაღაც „მაყუთებს ჩალიჩობს ვინმე, მაშინ ბაზარი არაა!“.

სხვა შემთხვევაში კი გინდა „ქარტია“ ერქვას, გინდა „კონვენტი“ და გინდაც „დიდი ხურალი“, ყოველგვარი შეშფოთების გარეშე ვიტყვი ოდნავ გადაკეთებულ ფრაზას „დათა თუთაშხიადან“: – არ გამოვა ეგ საქმე, ობერლეიტენანტო ჰანს კლოს.

**გია გაბრიჭიძე**

## როცა ეკრანი გვატყუებს

# შეხვედრა საპატრიარქოში

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მწერლებს შერიგებისკენ მოუწოდა. მწერალთა კავშირში დაპირისპირება გამგეობის წევრების მიერ გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორის გათავისუფლების შემდეგ დაიწყო.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 23 იანვარს, კვირა საღამოს, მწერალთა კავშირის წევრებს შეხვდა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის განცხადებით, შეხვედრის ინიციატორი თავად პატრიარქი იყო, რომელმაც მათთან გასაუბრება მწერალთა კავშირის გამომცემლობის ყოფილი დირექტორის მიერ ტელეკომპანიებში მიტანილი პროვოკაციული ვიდეოჩანაწერის ეთერში გასვლის შემდეგ გადაწყვიტა.

– ტელეკომპანია „იმედის“ არხზე მწერალთა კავშირზე ძალიან შეურაცხმყოფელი სიუჟეტი გავიდა, რომლის მიხედვითაც, ჩვენი კავშირი თურმე მხოლოდ დაპირისპირების ბუდე ყოფილა. გადაცემაში გამოყენებული იყო მწერალთა კავშირის გამომცემლობის ყოფილი დირექტორის ვ. ოთარაშვილის შვილის მიერ გამგეობის იმ სხდომის დაწყების წინ სპეციალურად გადაღებული პროვოკატორთაგან მოწყობილი დებოში, რომელ სხდომაზეც ვ. ოთარაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება გადაწყდა, – აღნიშნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებმა მწერალთა კავშირში არსებულ დაპირისპირებაზეც იმსჯელეს, და იმაზეც, თუ „როგორ გეგმაზომიერად ხდება ინტელიგენციის შეურაცხყოფა და როგორ ტენდენციურად აპიარებს შემდეგ ამას ტელევიზია. მაყვალა გონაშვილის თქმით, ამ კამპანიის მიზანი საზოგადოებისათვის იმის ჩვენებაა, თითქოსდა მწერალთა კავშირი კუთვნილ შენობაში დაბრუნების ღირსი არ არის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა ისიც, რომ **მწერალთა კავშირს მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა უკვე დაუბრუნდა.**

– პატრიარქთან შეხვედრაზე იყო დაპირისპირებაზე საუბარი. უწმინდესის პირველივე სიტყვა იყო მიმართული იმისკენ, რომ დაპირისპირება დღევანდელი დღით დამთავრდეს. რაც შეეხება შენობას., დღეს შევედით ქართველი მწერლები. შენობა უკვე მოწესრიგებულია, – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ მაყვალა გონაშვილმა.

**შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს „იმედის“ არხის სპეციალური რეპორტაჟი მწერალთა კავშირზე როგორც არხის ხელმძღვანელობის მხრიდან ანგარებიანად ტენდენციური და მოდელირებული (აღსანიშნავია, რომ მწერლებს შენობა ჩამოერთვა სწორედ გიორგი არველაძის ეკონომიკური განვითარების მინისტრობის დროს, ახლა იგი არხის გენერალური დირექტორია). ისიც უნდა ითქვას, რომ წამყვანი ლაშა ხარაზიშვილი სწორედ იმავე პანიკური სტილით წარმართავდა „სპეციალურ რეპორტაჟს მწერალთა კავშირის შესახებ“ (ავტორები ქეთი ქაშაკაშვილი და ნოდარ მელაძე), რა გულის გასახეთქი სტილითაც გასული წლის მარტში ომის მოდელირებული ქრონიკა წარმართა. და ეს მაშინ, როცა ე. წ. „იმედს“ სიმართლის მიმგვანებულადაც კი არ გადაუცია პოლიციის მიერ ვეტერანთა სამარცხვინო დარბევა და პოლიციისავე მიერ დევნილთა ასევე სამარცხვინო გამოსახლება-გადასახლება.**

სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ტელევიზიები და ზოგიერთი ყვითელი გაზეთი თითქოს ერთმანეთს სპეციალურად ეჯიბრებიან, ვინ მეტ ლაფს დაასხამს მწერალთა კავშირს, რათა ამით რაც შეიძლება მეტად დაამციროს მწერალთა როლი (ისევე როგორც ქართული ეკლესიის როლი) ჩვენს საზოგადოებაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ და სიტყვებიც წარმოთქვეს როინ მეტრეველმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, რევაზ ამაშუკელმა, რევაზ მიშველაძემ, ნოდარ ტაბიძემ, ბაღათერ არაბულმა, ნანა წითელაშვილმა, „ეროვნული მწერლობის“ (ახლა უკვე „მერანის“ძ ახალმა დირექტორმა ახალგაზრდა პოეტმა გენრი დოლიძემ და სხვებმა.

შეხვედრის დასასრულს პატრიარქმა კიდევ ერთხელ დალოცა ქართველი მწერლობა და ყველას მოუწოდა, რომ სიმართლისა და ჭეშმარიტების ძიებისას სიყვარულის გზით უნდა ვიაროთ და არა სიძულვილისა და ურთიერთდაპირისპირების გზით.

**უნდა შევრიგდეთ, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ, რასაკვირველია, არა სიმართლისა და ჭეშმარიტების ცილისწამებით დაკნინების ხარჯზე,** – აი, ასეთი დასკვნა გამოიტანეს საპატრიარქოში ამ დაუვიწყარი შეხვედრის მონაწილეებმა.

**ნატა ნიბლაძე**

პოზიცია

***ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს გაგიადვილდათ ჩემი სახელის მოხსენიება. არ გეკამათებით, მით უფრო, თქვენნარი სიძულვილით არ ვუპასუხებ. წარმატებებს გისურვებთ. თქვენ ამ სტატიებით გაცილებით უკეთესად ახასიათებთ საკუთარ თავს, ვიდრე მე ამას შევძლებდი. ბევრს პასუხის ღირსადაც არ მივიჩნევ. დღეს უჭირს მართალ პოლიტიკოსს და, ზოგადად, ქვეყანაში უჭირს სიმართლეს. სწორედ ამიტომ არ მიკვირს, რაც ბოლო დროს ჩემს მიმართ ხდება.***

***ყველას გასაგონად ვამბობ: რასაც წერენ და ამბობენ, ყველაფერს რომ სერიოზულად ვუპასუხო, არასერიოზული უნდა ვიყო... არასერიოზული პასუხისას კი შეშინებულად ჩამთვლიან. სწორედ ამიტომ ავირჩიე მიმართვის ასეთი ფორმა.***

# მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ: შეჩერდით, ქვეყანა თავზე გვექცევა!

**თავშივე ვაცხადებ:** ყველა ბრალდებას, რომელიც შეიძლება სასამართლოში გაირკვეს, მხოლოდ სასამართლო გაარკვევს. ასეთად ამ ეტაპზე ვთვლი ბრალდებას, თითქოს გიორგაძე და ებრალიძე გვაფინანსებენ. აგრეთვე ფინანსებთან დაკავშირებულ ყველა ბრალდებას. როგორც ჩანს, ასეთი ბრალდებების ავტორებს ყველა ისეთი ჰგონიათ, როგორებიც თვითონ არიან. აქვე ვიტყვი, რომ დღემდე ებრალიძესაც და გიორგაძესაც ქვეყნისათვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ და დღესაც იმავე გზას აგრძელებენ, რადგან ხმამაღლა არ ამბობენ, ვისაც აფინანსებენ და არც იმას უპასუხებენ, როცა მათ სახელებს ცალკეული პოლიტიკოსების დისკრედიტაციისთვის იყენებენ, ამის მაგალითად თუნდაც ბოლო დროს ჩემს წინააღმდეგ მიმართული კამპანია გამოდგება.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ (1997 წლიდან ),** რომ ქვეყანას ჰყავს არასერიოზული, გაუწონასწორებელი და ქვეყნისთვის საშიში პრეზიდენტი, რომელმაც დაიმსგავსა მთელი ხელისუფლება და ახლა ცდილობს, ასეთად აქციოს ყველა პოლიტიკოსი, ოპოზიცია და ხალხი (ერთმა გასვრილმა გასვარა მთელი ხელისუფლება და სვრის მთელ ქვეყანასძ.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ,** რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზედაპირული ანალიზითაც აშკარად ჩანს, რომ მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს წარმოგვიდგენია:

- გაყიდულია მიწაც, მიწის ზემოთ და მიწის ქვემოთ არსებული ქვეყნის მთელი სიმდიდრე;
- რაც დრო გადის, მდიდარი მდიდრდება და ღარიბი კიდევ უფრო ღარიბდება, მისი ცხოვრება გაუსაძლისი ხდება.
- ქვეყნის საგარეო ვალი, ოფიციალური სტატისტიკითაც კი, 10 მილიარდ დოლარს აჭარბებს (მარტო გასულ წელს თითქმის 20%-ით გაიზარდა, რეალურად 20 მილიარდს აჭარბებსძ.
- ქვეყნის ეკონომიკა ჯართად იქცა, ჯართად იქცა სამუშაო ადგილებიც, დღემდე ჯართია მთავარი საექსპორტო საქონელი... ქვეყნიდან გატანილი და ქვეყანაში შემოტანილი პროდუქცია სამუშაო ადგილებს უცხოეთში ქმნის, ქვეყანაში კი უმუშევრობას, შიმშილს და უიმედობას აძლიერებს...
- ქვეყანა ცხოვრობს ქვეყნის გარეთ გასული 1,5 მილიონი ადამიანის მიერ თავიანთი ახლობლებისთვის გამოგზავნილი ფულით... უცხოეთში წასული ერთი კაცი მინიმუმ საქართველოში დარჩენილ ორს არჩენს... რადგან პური გვაქვს, გვგონია, რომ კარგად ვცხოვრობთ.

საქართველო დანაწევრდა არა მარტო ტერიტორიულად, არამედ დანაწევრებულია ქართული ცნობიერებაც... დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან გატანას მოჰყვა არნახული ბრძოლა ქართული სულის წინააღმდეგ.

**სიამაყით ვაცხადებ: რომ იმ ადამიანთა შორის ვიყავი,** ვინც პროტესტს გამოთქვამდა ძეგლის გადატანის გამო და ღამეებს ათევდა ძეგლის წინ.

- მზაკვარი ხელისუფლება ებრძვის საკუთარ ხალხს, ქართულ ცნობიერებას, მართლმადიდებლობას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ემსახურება სხვა ქვეყნის ინტერესებს.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:** ასეთი ხელისუფლებისთვის მიუღებელია პიროვნება, რომელსაც აქვს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზი, მოუსყიდავია, აქვს პრინციპები და „ნაციონალებმა" ვერ შეძლეს მისი სათავისოდ მოთვინიერება.

**სიამაყით ვაცხადებ,** რომ მოუსყიდავ პოლიტიკოსთა შორის ვარ.

ხელისუფლებისათვის მიუღებელია მორალური ავტორიტეტებისა და პოლიტიკოსთა ერთობა სახალხო კრებაში. მორალური ავტორიტეტების, პოლიტიკოსთა და ხალხის ერ-




თობა შიშს ჰგვრის ხელისუფლებას. მისი მზაკვრული გადაწყვეტილება, ებრძოლოს მორალურ ავტორიტეტებს, მხოლოდ ისევ მორალური ავტორიტეტების, პოლიტიკოსებისა და ხალხის ერთობით დამარცხდება.

**სიამაყით ვაცხადებ,** რომ გვერდზე გადავდე ძველი წყენა, დაპირისპირება, ნაბიჯი გადავდგი სახალხო კრებისკენ და ღიად, გულწრფელად ვთანამშრომლობ კრებაში გაერთიანებულ პოლიტიკოსებთან, იმედით ვუყურებ მომავალს და წარსულისკენ არ ვიხედები.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:** ხელისუფლების მეთოდია - ვისიც ეშინია, მისი იგნორირება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ინვესტირება... იმდენი ინვესტიცია, რაც ამ ხელისუფლებამ უცხოურ პრესაში თავისი მხარდაჭერისთვის და ქვეყნის შიგნით მისგან მოუთვინიერებელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახარჯა, ეკონომიკაში რომ ჩაედო, ჩვენ განვითარებულ ქვეყნებს შორის ვიქნებოდით.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:**

- **ქვეყნისთვის** ამ ხელისუფლებაზე მეტად საშიშია პოლიტიკოსი და პარტია, რომელიც ამ ხელისუფლებასთან გარიგებაზე მიდის.
- **სიამაყით ვაცხადებ,** რომ იმ პოლიტიკოსთა შორის ვარ, ვინც ხელისუფლებას არ გაურიგდა.
- **ქვეყნისთვის ამ ხელისუფლებაზე მეტად საშიშია საინფორმაციო საშუალება, რომელიც ამ ხელისუფლებას ემსახურება;**

**არ შეიძლება ამ ქვეყნის მეგობარი ეწოდოს** იმ ქვეყნის ხელისუფალს, რომელიც იცავს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და მხარს უჭერს სააკაშვილს.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:**

- **ამ ხელისუფლების საქმეს აკეთებს ყველა,** ვინც ცდილობს ქვეყნის მორალური ავტორიტეტების დაკნინებას.
- **ამ ხელისუფლების საქმეს აკეთებს და ქვეყანას ებრძვის** ყველა პოლიტიკოსი, რომელიც სხვადასხვა მასალის გამოქვეყნებით ცდილობს ბრძოლის გაძლიერებას ოპოზიციის შიგნით;

**მეამაყება**, რომ იმ პოლიტიკოსთა შორის ვარ, რომელიც ხელისუფლებამ ამ მზაკვრულ ბრძოლაში ვერ ჩაითრია.

- **ამ ხელისუფლების საქმეს აკეთებს და ქვეყანას ებრძვის** ყველა ჟურნალისტი, ვინც რომელიმე პოლიტიკოსს ემსახურება, შეკვეთილ სტატიებს და ინტერვიუებს ბეჭდავს და ქვეყნისთვის საშიშია ყველა პოლიტიკოსი, რომელსაც ჟურნალისტის მოსყიდვაზე გაფიქრებაც კი შეუძლია.

**სიამაყით ვაცხადებ,** არასდროს მიფიქრია ჟურნალისტების მოსყიდვაზე და სიამოვნებით ვთანამშრომლობ მათთან.

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:**

- **დღეს ქვეყანას სჭირდება** არა სკამისთვის მებრძოლი, არამედ ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც თავგანწირვა შეუძლია;

**სიამაყით ვაცხადებ,** რომ იმ პოლიტიკოსთა შორის ვარ, ვისაც თავგანწირვა შეუძლია და ეს ორჯერ უკვე დავამტკიცე – ორივეჯერ თბილისისკენ წამოსულ ტანკებს გადავუდექი წინ.

- **დღეს ქვეყანას სჭირდება** არა ფულიანი და მდიდარი, არამედ ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო ფულის შოვნა და გამდიდრება, მაგრამ ეს არ გააკეთა, ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით და არა ხალხის ხარჯზე;

**სიამაყით ვაცხადებ,** ბუნებაში არ არსებობს ადამიანი, რომელმაც ჩემთან საქმე ჩააწყო ან ქრთამი მომცა.

სწორედ ფინანსური პრობლემების გამო ერთადერთი ოფისი გვაქვს მთელ საქართველოში (თბილისში, ოროთახიანი ბინა ლამბაშიძის 4ძ, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია მოვიდეს და ნახოს. ჩვენ არ გვემსახურება ტრანსპორტი და ჩვენს ქვეყანაში არ გვჭირდება დაცვა.

- **დღეს ქვეყანას სჭირდება** ისეთი პოლიტიკოსი, რომელმაც იცის მოაზროვნე და განათლებული ადამიანების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ფასი, მათ ემსახურება და არ ფიქრობს მათს გამოყენებას.
- **დღეს ქვეყანას სჭირდება ისეთი პარტია და ისეთი პოლიტიკოსი,** რომელიც ქვეყნის გარედან არც იმართება და არც ფინანსდება. არც ამერიკას ეგება ფეხქვეშ და არც– რუსეთს.

**სიამაყით ვაცხადებ,** რომ ასეთია პოლიტიკური პარტია „თეთრები". ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანას მომავალი არ აქვს ამერიკასთან, ევროპასთან დიდი ურთიერთობების გარეშე, ქვეყანას მომავალი არ აქვს რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარეშე, მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ ქვეყნის მომავალი დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება.

- **დღეს ქვეყანას სჭირდება პოლიტიკოსი,** რომელსაც შეუძლია შურსა და მტრობაზე ამაღლება.

**სიძულვილის კენჭი რომ მესროლოთ, სიყვარულის ლოდს დაგახვედრებთ!**

**მე, თემურ შაშიაშვილი, ყველას გასაგონად ვაცხადებ:**

დღეს ქვეყანას ჰყავს ერთი მტერი – საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება... დღეს საქვეყნო საქმის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ქვეყნის სიყვარულით მოღვაწეობს. სწორედ ქვეყნის სიყვარულს შეუძლია ქვეყნის მოძულე ხელისუფლების დამარცხება.

**სიამაყით ვაცხადებ,** რომ მე მათ რიგებში ვარ, ვისაც ხელისუფლების დამარცხება შეუძლია.

**მე, თემურ შაშიაშვილი კიდევ ერთხელ ყველას გასაგონად ვაცხადებ: შეჩერდით, ქვეყანა თავზე გვექცევა, ვებრძოლოთ „ნაციონალურ ჭირს" და არა ერთმანეთს.**

**თემურ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა" (თეთრები).

ინფორმაცია

## რუსეთიდან და უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტის აკრძალვა დაგმეს

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პასკალ ლამიმ სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის მთავარ მიზეზად მარცვლეულის ექსპორტის შეზღუდვა დაასახელა.**

**ლამი აცხადებს, რომ ფასების ზრდა რუსეთისა და უკრაინის მიერ დაწესებულ შეზღუდვებსაც უკავშირდება, რაც გამოწვეული იყო 2010 წლის ზაფხულში გვალვის შედეგად დაბალი მოსავლიანობით. ვმო-ს ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მარცვლეულის ექსპორტიორმა ქვეყნებმა საკუთარი მოსავლიანობა უნდა გაზარდონ.**

**– ექსპორტის შეზღუდვამ ბაზარზე პანიკა გამოიწვია" – განაცხადა ლამმა.**

## რუსეთელი საეკლესიო პირები ცხინვალს ეწვიენე

**რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის განყოფილების საპასუხისმგებლო მდივანი ეკლესიის საქველმოქმედო და სოციალურ მსახურებაში იღუმენი სერაფიმე (კრავჩენკო) და რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი მაქსიმ შევჩენკო ცხინვალში ჩავიდნენ.**

**ინფორმაციას ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ავრცელებს.**

**მათივე ინფორმაციით, ვიზიტი მეგობრული ხასიათისაა.**

**– იღუმენი სერაფიმე და მაქსიმ შევჩენკო სამხრეთ ოსეთში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ. მათთან ერთად ასევე ჩამოვიდნენ საქველმოქმედო ფონდ – „დეტი როსიი – ბუდუშეე მირა". ეს ფონდი ჩვენს ტერიტორიაზე ახორციელებს პროექტს „რუსული ჰუმანიტარული მისია სამხრეთ ოსეთში".**

## გატეხს კი სიტყვას ლუკაშენკო?

**ალექსანდრე ლუკაშენკომ შესაძლოა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. განცხადება ამის შესახებ ევროპული კვლევის ცენტრის ექსპერტმა პაველ უსოვმა გააკეთა.**

**ბელორუსულ ტელეარხ „ბელსატზე" გამოსვლისას კითხვაზე პასუხის გაცემისას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოითხოვოს რუსეთმა ბელორუსისგან მისთვის კრედიტის გამოყოფის სანაცვლოდ ექსპერტმა უპასუხა: – ძირითადი საკითხი ეს რა თქმა უნდა ერთიანი ეკონომიკური სივრცის აშენება და სტრატეგიულად გეოპოლიტიკური პროექტების მომავალი განვითარებაა, მათ შორის რუსეთ-ბელორუსის საკავშირო სახელმწიფოს განვითარებაა, თუმცა ერთ-ერთ პრინციპულ საკითხად მოსკოვისათვის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რჩება, – აცხადებს ექსპერტი და დასძენს, რომ ლუკაშენკო შეიძლება მართლაც წავიდეს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე, რადგანაც მისმა ურთიერთობებზე დასავლეთთან თავისი თავი უკვე სავსებით ამოწურა და მას დასაკარგი არაფერი აქვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 14. სამშაბათი, 25 იანვარი, 2011 წელი.

◎ დიდი ცხოვრება

# ჟამი დაფიქრების და გამოღვიძებისა

**9 იანვარია. ერთ დროს სისხლიანი კვირა ერქვა, პეტერბურგში მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის გამო 1905 წელს.**

**ეს ისტორიული თარიღი შემდეგ გამახსენდება, იმ დღეს — არა, თუმცა 9 იანვარია და თანაც კვირა დღე.**

**კრწანისის რეზიდენციაში ვსტუმრობთ ედუარდ შევარდნაძეს. მეალილოებივით შევუარეთ. ვსაუბრობთ საჩვენოს. არაფერი საგაზეთო. მაგრამ პირველი შეკითხვა დამწყები რეპორტიორის დაღდასმულივითაა:**

**— როგორ შეხვდით ახალ წელს, ბატონო ედუარდ?**

— ბავშვები მოიყვანეს და — იმათთან ერთად, — პაატა შევარდნაძეს და მის ოჯახს გულისხმობდა, როგორც ჩანს, ბატონი ედუარდი.

პატარების სადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, ვიტყვით, რადგან ტრადიციულ ტაბლასთან ვსხედვართ. მაგრამ ჯერ 83-ე დაბადების დღეს მივულოცავთ მასპინძელს. წინასწარ. ცოტცოტას მოვწრუპავთ „სარაჯიშვილის“ კონიაკს, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა ბრენდი.

გამახსენდება: პროფესორმა დავით იაკობიძემ, მეცნიერმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ რომ მკითხა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წინასაახალწლო რეპორტაჟის წაკითხვის შემდეგ:

— მითხარი მაინც, როგორი კონიაკი ჰქონდა შევარდნაძეს, ასე რომ მოგხიბლა.

ვეუბნები ამის შესახებ ბატონ ედუარდს.

— რომ არ გაგხსენებოდა, არ ჩამოასხამდი? — ჩაეცინება მასპინძელს და სერიოზულად დაუმატებს:

— დათო კაცური კაცია.

— არ ვიცი, რით გაგაჯავრათ, ფინანსთა მინისტრობიდან რომ გაათავისუფლეთ, — იაკობიძის დაცვას იწყებს ნუგზარ ფოფხაძე.

— არა, არა, — ენერგიულად გააწყვეტინებს მასპინძელი, — პარლამენტი აუზუნტდა.

— ჟვანიასთან ჰქონდაო პრობლემები.

— ჟვანიასთან შეიძლება ჰქონდა პრობლემები, ჩემთან — არა.

საუბარს ვიწყებთ იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მან, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში, შემდეგ მსოფლიო მასშტაბითაც წარუხოცავი კვალი დატოვა.

შევარდნაძეს ასეთი პათეტიკა არ მოსწონს, ელემენტარულად — არ მიიღებს და ამიწებს „მასშტაბურ შეტევას“:

— ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!

საუბარი ადამიანურ კალაპოტს უბრუნდება, თუნდაც — კულინარულ თემაზე, მაგრამ არა მხოლოდ გურმანების კუთხით, თუმცა — კუთხური აქცენტით, რადგან ტაბლაზე გურული ღვეზელი დევს, ეტყობა — უგემრიელესი.

— დედაჩემი ხაჭაპურს რომ აცხობდა, ისეთი ჯერ არ მიჭამია, — იხსენებს მასპინძელი, — ძალიან თხელი ცომი და ძალიან ბევრი ჭყინტი ყველი.

— ბევრი ყველი, რა თქმა უნდა, მთავარია.

— მაგრამ ხელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლაც მახსოვს იმ ხაჭაპურის გემო. საახალწლოდ მაინც განსაკუთრებული იყო.

დღეს ქალბატონ ნანულის რეცეპტით აცხობენ ხაჭაპურს შევარდნაძის სახლში.

— ლაღიძის წყალი გქონდეს და ხაჭაპური და სხვა რაღაც უცხოური „ბრენდის“ გადმონერგვას



ცდილობდე ქართულ ნიადაგზე, გაუგებარია, — ფოფხაძის რეპლიკა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ედუარდმა ქალაქის მერიას მიმართა — როგორც რიგითი თბილისელი, გთხოვთ, არ მოშალოთო „ლაღიძის წყლები“ რუსთაველის პროსპექტზე.

— კი, ასე იყო, — ადასტურებს მასპინძელი, — სარდაფში ჰქონდათ ძალიან კარგი ხაჭაპური და ტკბილი წყალი გრაფინებით. „ლაღიძის წყლები“ თბილისური ტრადიცია იყო.

— ახლა იმ ადგილზე ჩარაზული კარები და უპატრონობაა.

— ნამდვილი პატრონი ტრადიციას არ შეეხებოდა... კიდევ კარგი, ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა ლაღიძის შთამომავლების მხარდაჭერით სპორტის სასახლის გვერდით აღგვიდგინა რუსთაველზე მოშლილი ძველი „ლაღიძის წყლები“.

— ძველით ახალ წელს თუ აღნიშნავთ, ბატონო ედუარდ?

— (პაუზაძ. ჩემები მოვლენ და აღვნიშნავთ. არაფერი განსაკუთრებული — ჩურჩხელა, გოზინაყი...

— სიტყვამ მოიტანა და, ერთხელ ნათქვამი გაქვთ, რომ გოზინაყი ერთი-ორჯერ მოგიპარიათ.

— ახლაც ვალიარებ (იცინისძ.

— შვილიშვილები რომ მოდიან თქვენთან, ისინიც იპარავენ?

— არა, კაცო!

— გამოსწორდა თაობა, — როგორც ყოველთვის, იცავს ახალგაზრდობას ფოფხაძე.

— მოპარულს, აკრძალული ხილივით, მაინც განსაკუთრებული გემო ჰქონდა (იცინის შევარდნაძძ.

შვილიშვილები, შვილთაშვილები, როგორც თოვლის პაპასთან, ახალწელს ესტუმრნენ დიდ ბაბუს.

ბაბუსაც გაუხარია ფრიად:

— რა ჩვევა აქვს, იცით? — გვეუბნება თავის სულ პატარა შვილთაშვილზე, ლაშას ბიჭზე, პატარა ედუარდზე ბატონი ედუარდი, — კაცების მოფერებას უარობს. არადა, ისეთი ლამაზი სახე აქვს, მოფერება აუცილებლად მოგინდება.

კალთაში ჩამისვეს. მომეხვია. მკოცნა და მკოცნა. ვერ მოვიცილე... არც მიცდია.

— დადის უკვე?

— დაბოდიალობს... ჯერ პატარაა.

პატარა ედუარდის გენეოლოგიის გარკვევისას შევარდნაძეთა გვარის წარმომავლობის საკითხიც წამოიჭრება: როგორც ყველა დიდი ადამიანის ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტების მიღმა ადამიანები აისბერგის წყალქვეშა ნაწილის ორი მესამედის მზის სინათლეზე გამოტანას და რაღაც ახლის აღმოჩენას ცდილობენ, ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაც ასეთ „საერთაშორისო სტარდარტში“ მოქცევა იმდენადვე ლოგიკურია, რამდენადაც ჭეშმარიტებას დაცილებული.

მახსენდება ერთი ფრაზა ამგვარ კოლიზიასთან დაკავშირებით, რომელიც თითქოს იოსებ სტალინს უთქვამს: „За исключением Святого Духа, кого только мне в папы не прочили“. ედუარდ შევარდნაძესაც ერთ-ერთი ვერსიით ბერძნული წარმომავლობა მიაწერეს.

ვადიმ ანასტასიადის, „Вечерний Тбилиси“-ს რედაქტორს, რომელიც ბერძნულ პრესაშიც წერს, უკითხავს ამის შესახებ ბატონ ედუარდისთვის.

მე ვიამაყებდი, ჩემი წინაპრები ბერძნები რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ ასე არ არისო, — უპასუხია რესპონდენტს.

„საამაყოდ ქართველობა მეყოფა“...

მაგრამ უბერძნებოდ მაინც ვერ გავიდნენ ფონს შევარდნაძეები: ახალგაზრდა სიძე, შვილიშვილის — თაკოს ქმარი ბერძენია — ანდრია თოდოროსი.

— ძალიან კარგი ბიჭია, — ამბობს ბატონი ედუარდი, — მაგრამ ქართული ვერ ისწავლა (ელიმებაძ.

— 25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა. 25-სა იანვარსა თქვენი დაბადების დღეა. კარგი დამთხვევაა.

— არაფერი დამთხვევა არ არის, კანონზომიერებაა (გულიანად იცინისძ.

ესაა ნამდვილი შევარდნაძე — ალალი იუმორით და დახვეწილი „თვითგანქიქებით“...

თემა სერიოზულ კალაპოტში გადადის და უწმინდესის და უნეტარესის სადღეგრძელოში მატერიალიზდება:

— ბრწყინვალე პიროვნებაა, — ამბობს შევარდნაძე, — იგი რომ არ გვყავდეს, საქართველო მიწასთან გასწორდებოდა.

ვუერთდებით.

ვიხსენებთ პატრიარქის მრავლისმთქმელ მინიშნებას იმის თაობაზე, რომ ჩვენი ერი ილვიძებს, მაგრამ — ძალიან ნელა, თუმცა — შეუქცევადად.

და — კიდევ ერთ დამოძღვრას საშობაო ეპისტოლედან ამპარტავნობის დაძლევის თაობაზე,

იხ. 9 გვ.

*ამონარიდი ჯერ გამოუცემელი წიგნიდან „ჟამი დაფიქრების და გამოღვიძების“.*

◎ მუსიკა

# კონცერტი ორ ედუარდს მიეძღვნა



**23 იანვრის საღამოს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა პარიზის ნაციონალური კონსერვატორიის კურსდამთავრებულის, 21 წლის პიანისტის თათია შარანგია-შევარდნაძის ტალანტმა. მან ჩვეული ოსტატობით შეასრულა შოპენისა და შუმანის ნაწარმოებები.**

ბოლო ორი წელიწადია შარანგიების დიდი ოჯახის მშვენებას მუსიკისთვის თითქოს არ ეცალა — გაბედნიერდა, საკუთარი ბედი დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილს ლაშას დაუკავშირა და... როგორც გურულ-მეგრული (გნებავთ, მეგრულ-გურულიძ სუპერჯანსაღი წყვილების უმრავლესობას სჩვევია, ოპერატიულად, ცხრა თვეში ანგელოზივით ბიჭი, თანაც ედუჩი, ედუარდ მეორე ჩაიგორა კალთაში.

კონცერტის ბოლოს, როცა ამ მართლაც მომნუსხველი, რომანტიკულ-პოეტური საღამოს წამყვანმა გამოაცხადა, დღევანდელი კონცერტი ორ ედუარდს მიეძღვნაო, ხალხით გადაჭედილი კონსერვატორიის დარბაზი, გაღიმებულ-გახარებული დიდი ბაბუისკენ შემობრუნდა და ტაშით მიესალმა... ბედნიერმა ახალგაზრდა დედამ კი 8 თვის თვალებბრიალა პირმშო კულისებიდან გამოიყვანა და გულში ჩაიხუტა, მერე ხელი აუწია და ასე მოგვასალმა.

მრავალჭირგადანახადი, ოთხმოცდასამი წლის ედუარდ შევარდნაძე ხალხის გარემოცვაში;

პაწია შვილთაშვილი, რვა თვის ედუარდი კი — პირველად სცენაზე, თანაც, გამარჯვებულ დედასთან ერთად!

სხვა ძალა ჰქონდა შეძახილს — „ბრავო!“, „ბრავო!“, „ბრავო!“, რომელიც ამ უშუალო ბოლო სცენას მოჰყვა... ჩემთვის, როგორც რიგითი მაყურებლისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილი 500 მაყურებლიდან, მინიმუმ 300 მაინც თათია შარანგიასა და მისი მეუღლის ლაშა შევარდნაძის ასაკისანი გახლდათ.

**ღმერთმა გამრავლოთ!**

მკითხველს შევახსენებ, რომ თათია შარანგია ზ. ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლა-კოლეჯის აღზრდილია. ათი წლის ასაკიდან მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებში, მართავს სოლო კონცერტებს. პირველი დიდი გამარჯვება საბერძნეთის ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა, მერე ლიტვაში გამართული კონკურსის ლაურეატი გახდა. 12 წლისა სპეციალურად მიიწვიეს პარიზში სახელდახელო გალაკონცერტზე — „საოცარი ბავშვები“.

თათია შარანგიას პირველი მასწავლებელი ირმა რუხაძე იყო. სწავლის პარალელურად ის მეცადინეობდა ცნობილ მუსიკოსებთან — თენგიზ ამირეჯიბთან, ელიშერ რუსიშვილთან, ბრიჯიტ ანჟერერთან. ოსტატდებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტების ელისო ვირსალაძის, იაპონელი მამიკო სუდასის, ფრანგ მარკ ლაფორეს მასტერკლასებში.

2008 წელს თათიამ ე. მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, თბილისის ეროვნულ-მუსიკალურ ცენტრში სოლო კონცერტი გამართა (რეზო ტაკიძის დირიჟორობით რაველის ურთულესი საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა მარცხენა ხელისთვის!ძ. 2008 წლის ივნისში თათია მონაწილეობდა შოპენის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალში, 2009 წელს კი — ჰამბურგში გამართულ ოთარ ტატიშვილის შემოქმედებით საღამოში...

კლასიკური მუსიკის მოყვარულთა და სპეციალისტთა აღიარებით თათია შარანგიას გამორჩეული ხელწერა აქვს და მისი შრომისმოყვარეობა ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს.

სიურპრიზებს — მუსიკასა და ოჯახში. რამდენსამე თვეში ის მეორე შვილის დედა გახდება.

**სპარტაკ ქობულია**

◉ გულის ბუხარი

# ნაღდად ბურებიღა გვაკლდნენ სრული ბედნიერებისთვის!

***ლამის არის, გასკდეს გული! რა ხრიკებს არ იგონებს ეს ხელისუფლება, რომ ქართველობა გადააშენონ, ქართული გენი და ჯიში ამოძირკვონ ღვთის მიერ ნაბოძები ქართული მიწა-წყლიდან. ლამის ორი მილიონი ხომ უცხოეთში გადახვეწეს. ასი ათასზე მეტი ნაადრევად გაისტუმრეს იმ ქვეყნად, 45 ათასი ციხეში გამოკეტეს და იქ გეგმაზომიერად ხოცავენ, უხელფასოთა და უმუშევართა ქვეყანაში ფასებს ყოველდღე ზრდიან... კიდევ სად არის მახე დაგებული, ღმერთმა უწყის. არადა, 1989 წლის აღწერით 5 მილიონნახევრიან ქვეყანაში ქართველები 3 მილიონ 684 ათასი ვიყავით, ახლა თქვენ დათვალეთ, რამდენნი დავრჩით.***



ახლა კი ბურებიო! ჩვენი სახელოვანი წინაპარი ნიკო ბური — ნიკო ბაგრატიონი, საკუთარი სიცოცხლის ფასად რომ იცავდა აფრიკელ ბურებს, აი თურმე სწორედ იმ ბურებს ემუქრებიან ახლა, აფრიკელი შავკანიანები ამოწყვეტას უპირებენ. ამიტომ აქ უნდა ჩამოვასახლოთო.

მერედა, ვის მიწებს ჰპირდებიან, რაო, მათი მამის ნაჩუქარია? ისიც არ იმყოფინეს, აფხაზეთი, ძირძველი ქართული მიწა-წყალი რუსებს რომ მიაშავეს, სამაჩაბლო — ქართლის გული, ქართული სიტყვის აკვანი — ასევე რუსებს მიაჩეჩეს. აბა, აფხაზები და ოსები ვის დაჰკარგვია, ვის რაში სჭირდება. ასე და ამრიგად, ჯერ კიდევ დარჩენილ საქართველოს თვალსა და ხელს შუა გვწაპნიან! თანაც 41-ათასიო!!

თქვე დედა ატირებულნო, ნუთუ სკოლაში მაინც არ გისწავლიათ, ან სუფრაზე სადღეგრძელოში მაინც არ მოგისმენიათ, რომ ოდითგანვე ქართველი კაცი საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა თავის მიწა-წყალს, თავის მეობას, ენასა და სარწმუნოებას, რომ თითოეული გოჯი სამშობლოს მიწისა ჩვენი ღირსეული წინაპრების სისხლითა და ძვლებით არის გაპოხილი? იმ მიწას, რომლისთვისაც სწირავდნენ ისინი სიცოცხლეს, გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა არ სჭირდება? თქვენ კიდევ...

ბურები იმიტომ ჩამოგვყავს, რომ კარგი მეურნენი არიან, სოფელს ააყვავებენო! ამაზე მეტი უგუნურობა, ამაზე დიდი სიცრუე და ორპირობა გაგონილა ქვეყნად? მაშ ოდითგანვე ვინ პატრონობდა, უვლიდა ქართულ მიწა-წყალს? რაო, ქართული პური, ქართული ღვინო, გინდ მეცხოველეობის პროდუქტები, გინდ მებოსტნეობა არ ავსებდა ჩვენს მარანსა და ბეღელს? მაშ, თუ ქართველი კაცი ძლიერი და გამრჯე არ იყო, მთათა მწვერვალებზე ვინ აშენებდა ზღაპრულ ციხე-კოშკებს, უბრწყინვალეს ტაძრებს, სოფლებსა და ქალაქებს? ვაი, თქვენს პატრონს, თქვე ტვინნაღრძობებო!

ეგეც რომ არა, რაო, გვაკლია უცხოტომელნი? ჩვენ ხომ სტუმართმოყვარე ერი ვართ, ვამაყობდით თუ გვაამაყებდნენ, რომ მარტო რუსთავში 17 თუ უფრო მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. ასე რომ, დღესაც შეგვიძლია ამით ვიბაქიბუქოთ, ჰოდა, თუ ბურები შემოგვემატნენ, ავშენდებით და ეგაა!

ისე, ჩვენი მოკეთე, უფრო მიშას ნათესავი ბურები მინდა გავაფრთხილო, ტყუილად უჭირავთ თვალი ქართლელი თუ კახელი კაცის კარ-მიდამოზე, მათს სასახლეებზე, მჟავანაძის დროს რომ აიშენეს, ჩვენს ბარაქიან ადგილ-მამულზე. თუ ქართველებმა ვერ ვივარგეთ და ფართოდ გავუღეთ კარები, აგერ ჩვენი მოძმე აზერბაიჯანლები, ქართლსა და კახეთში 700 ათასს რომ გადაამეტეს მოსახლეობის რაოდენობით, და ძალიან მაგრადაც რომ მრავლდებიან (ჩვენი ვაიხელისუფალნი რომ ამაყობენ, ბოლო დროს შობადობა გაიზარდაო, ეს ძირითადად აზერბაიჯანელთა წყალობითააძ, ისინი არ გაგაპარპაშებენ.

ასე რომ, ჭკუით იყავით, თორემ მერე ახალი თავშესაფარი გაგიხდებათ საძებარი. სულ სხვათა მიწის მოხვეჭას ნუ ცდილობთ, ეს დედამიწა არც ისე დიდია.

**გივი ჯახუა**

***P.S.* მართლაცდა, ბედის დაცინვაა, აბა სხვა რა ვუწოდოთ იმას, რაც ხდება? გეორგიანელებს, ძველ ბერძნებსა და რომაელებს რომ აოცებდნენ მიწის დამუშავებით, მეურნეობის გაძღოლით, მთა-მწვერვალებზე განსაცვიფრებელი ციხე-კოშკების შენებით, კაცობრიობისთვის რკინის კვერვის აღმომჩენთ და მასწავლებელთ, თურმე შრომა სხვისგან ესწავლებათ! არადა, მათ ხომ ოდითგან ჰყავდათ ხარ-კამეჩი, ჰქონდათ კავ-გუთანი, თოხი, ნამგალი და ცული არ ეშლებოდა... ღვინო ხომ ჰქონდათ, მეფის რუსეთის დროს პურ-ხორბალს იქით ჰყიდდნენ. მერე მოვიდა ტრაქტორი და კომბაინი. ჰოდა, ტექნიკაზე გადაერთვნენ. საუბედუროდ, ამ უნიათო ხელისუფლების ყაჩაღობით, ტექნიკა ხელიდან გამოეცალათ, ახლა ტრაქტორი მიშიკოს გასასეირნებლად თუ გამოჩნდება. „სალიარკას“ ცეცხლი უკიდია, ორ ლარზე ძვირი ღირს, დარჩა გლეხი უპატრონოდ, ეს „დედალი ძროხის“ მინისტრი კი მაინც იკვეხნის — გასული წელი წარმატებული გვქონდა!***

***თვითონ აშკარად კი ჰქონდა, მაგრამ სხვებს, სოფლის მეურნეობას?!***

***P.P.S.* მიმძიმს, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა: რაც უბედურება გვჭირს, მიშაზე არანაკლებ ჩვენი ოპოზიციის ბელადების ბრალია. იპოდრომზე ყინვაში მდგომი 300 ათასი რომ არ გაველიდეთ ლევან გაჩეჩილაძეს (ის ხომ მაშინ გამორჩეული ლიდერი იყო, საპრეზიდენტო არჩევნებში თითქმის გამარჯვებული), სხვებსაც რომ არ ედედლათ... მუდამ გაბრაზებულ შალვა ნათელაშვილს და მის ლეგიონერებს მინდა ვუთხრა, ტრიბუნასთან ენის ტრიალში, ბაქიბუქში ისინი სააკაშვილს ვერ აჯობებენ, ვაი რომ, დანარჩენნიც ვერ გამოგვადგნენ...***

***გამოფხიზლდნენ, გონს მოეგონ, თორემ აზერბაიჯანელი ძმების გარდა, სომხებიც მრავლად გვყავნან, სხვა კიდევ ათობით ეროვნების წარმომადგენელნი. ჰოდა, ისინიც გაბრაზდებიან. მერე, ერთხელაც იქნება, დროს იხელთებენ და ამ ქვეყნიდან გაყრიან კიდევაც უკანმოუხედავად.***

***გ. ჯ.***

◉ ინფორმაცია

## ღუდუშაურის კლინიკაში კარანტინია

**— ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ხელმძღვანელმა ზაზა სინაურიძემ კლინიკაში კარანტინის გამოცხადების მიზეზები ახსნა. მისი თქმით, კარანტინის გამოცხადების მთავარი მიზეზი არის ის, რომ გარედან შემოსულმა მნახველებმა ზედმეტი ინფექცია არ შეიტანონ კლინიკაში.**

**— ღუდუშაურის კლინიკაში 34 გრიპით დაავადებული პაციენტია. ამ 34-დან 27 არის თერაპიულ განყოფილებაში მოთავსებული, ხოლო 7 რეანიმაციულ განყოფილებაში. ცხადია, რომ ის 7 პაციენტი, რომელიც რეანიმაციაშია მოთავსებული, არის საკმაოდ მძიმედ. მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ 5 შემთხვევაში არის ლაბორატორიულად დადასტურებული ღორის გრიპის შემთხვევა. დანარჩენი კი სხვა ტიპების ვირუსებია. ამ 34 ადამიანში 11 არის ორსული და**



**3 მელოგინე. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსმევ, რომ რისკ ჯგუფები არის გაცილებით დიდი საფრთხის ქვეშ. ჩვენ ვიმყოფებით ჯანდაცვის სამინისტროსთან მუდმივ კოორდინაციაში და გვაქვს მედიკამენტების საკმაო მარაგი. გრიპს აქვს დაახლოებით 48-საათიანი საინკუბაციო პერიოდი. შესაბამისად შესაძლოა, რომ ადამიანს გამოხატულება არ ჰქონდეს, მაგრამ ინფიცირებული იყოს. აქედან გამომდინარე კარანტინი არის, იმიტომ რომ გარედან შემოსულმა მნახველებმა კიდევ ზედმეტი ინფექცია არ შემოიტანონ, — განმარტა კლინიკაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სინაურიძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სახალხო დიპლომატია

# თუ გული გულობს, ერთად მოვილაპარაკოთ!

**2010 წლის ნოემბერში „აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდთან“ (ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი) არსებულმა ქართველ უხუცესთა საბჭომ საინფორმაციო საშუალებებში გაახმაურა საგანგებო მიმართვა აფხაზ უხუცესთა საბჭოს მისამართით, რომელიც მალევე მიიღო მისმა თავკაცმა კონსტანტინე ოზგანმა.**

მიმართვაში ხაზგასმით ნათქვამია, რომ ჩვენ შეგვიძლია და გვსურს, ერთობლივად შევიმუშავოთ მოქმედების გონივრული პროგრამა, რომელიც ურთიერთნდობის ზრდასთან, ჩვენი ხალხების შერიგებისა და ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალწლიანი ისტორიის ტრადიციული ღირებულებების აღორძინებასთან მიგვიყვანს.

მიმართვის სრული ტექსტი ოპერატიულად გადმოსცა „რადიო თავისუფლებამ“ პრაღიდან. „თავისუფლების“ კორესპონდენტების ძალისხმევით ჩვენს მიმართვას გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავკაცი ბატონი კონსტანტინე ოზგანი. მან ჩვენი საბჭოს შექმნა დადებითად შეაფასა და თქვა: „ალბათ, საბჭოს შექმნა გადაწყდა იმის შემდეგ, რაც ჩვენმა საბჭომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს გაზეთებში გამოთქმული არასწორი აზრი აფხაზეთში ამჟამინდელი ვითარების შესახებ“. ბატონი კონსტანტინე ჩვენს შეხვედრას მიზანშეწონილად მიიჩნევს, თუ ჩვენი საბჭო სცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ორგანიზაცია არასამთავრობოა და ხელისუფლებას მისი შექმნა არც დასიზმრებია.

საბჭოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ამ წერილის ავტორი გახლავთ, რომელსაც მაშინ (ომის დაწყებამდეძ და ახლაც აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების მცდელობის მეტი არაფერი გაუკეთებია. თბილისში ყოფნის განმავლობაში მას რამდენიმე ათეული საგაზეთო წერილი აქვს გამოქვეყნებული, არაერთხელ გამოსულა ტელევიზიითაც. რამდენიმე წერილი აფხაზეთშიც წაუკითხავთ. ასე რომ, იმის ეჭვი, ვითომცდა, ჩვენ მთავრობამ გვშობა, მხოლოდ მონაჭორია. ამაში ჩვენ ბატონ კონსტანტინე ოზგანს სრულებითაც არ ვადანაშაულებთ.

აფხაზ მეგობრებს შეუძლიათ წაიკითხონ ეს წერილიც და კიდევ ერთხელ გაეცნონ როგორც აფხაზეთში ისე საქართველოში ცნობილ პიროვნებებს, რომლებიც ამშვენებენ უხუცესთა საბჭოს. აი ისინი: **ნაპო მესხია, გურამ გვეტაძე, ნოდარ ემუხვარი, ოთარ ვახანია, კონსტანტინე მარშავა, ლორენცო შარანგია, კონსტანტინე გულუა, მირიან ჯალალონია, ტერენტი ხუბუა, ბიქტორ ზარქუ**ა და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ, აფხაზო ძმებო და დებო, ბევრი რამ გაქვთ სათქმელი. ვიცით, რომ ტანკების მაგივრად სისტემატური, საჭირო დიალოგი რომ ყოფილიყო, შეიძლება არაფერიც არ მომხდარიყო!

განთქმული ნეიროქირურგის, მედიცინის დოქტორის ბატონ ნაპო მესხიას თქმისა (მისი წიგნიდან „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ძ არ იყოს, მხოლოდ სიმართლისა და მხარეების მიერ ერთობლივი დაშვებული შეცდომების აღიარებით, ურთიერთმიმტევებლობით, აფხაზეთისთვის ალტერნატივისა და არჩევანის პირობების გაჩენით იყო შესაძლებელი ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამოწოლილი გაუცხოების პროცესის შენელება და ურთიერთნდობის აღდგენა, **მაგრამ ეს არ გაკეთდა!**

ვიცით, რომ ჩვენს შორის დიალოგი არ იქნება იოლი. მას სჭირდება მიზანდასახული მოქმედება, პრინციპულობა და ობიექტურობა, ზრუნვა საერთო ინტერესებისადმი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ მას თქვენთან ერთად შევძლებთ.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ასე მალე გაქრა საუკუნოვანი მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. ლაპარაკია ნამდვილ აფხაზებსა და ნამდვილ ქართველებზე!

იმის შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვა წარმოთქვა ევროპარლამენტის სამიტზე — აფხაზებთან დაკავშირებით ყველა პრობლემის მშვიდობით მოგვარების შესახებ, ჩვენ უფრო გავააქტიურეთ მუშაობა, თუმცა ხელისუფლებას არც მანამდე შეუშლია ხელი ჩვენი საქმიანობისთვის.

რა თქმა უნდა, შეიძლება უსასრულოდ ვუსაყვედუროთ ერთმანეთს დაშვებული შეცდომების გამო, მაგრამ ხომ უკეთესია ჩვენი ძმური ურთიერთობის არც თუ ისე მცირე ხნის ისტორია გავიხსენოთ...

მართალია, კონსტანტინე ოზგანთან მე არ მქონია ახლო ურთიერთობა, მაგრამ მას ვიცნობდი როგორ პრინციპულ, სამართლიან და ობიექტურ ადამიანს.

სწორედ ამიტომ, ჩვენი საბჭო იმედოვნებს, რომ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს აფხაზ უხუცესებთან ერთად — პირველ რიგში ჩვენს შორის ნდობის აღდგენის საქმეში.

ჩვენ ერთად უნდა დავჯდეთ და დაუყოვნებლივ დავიწყოთ ფიქრი როგორ აღვადგინოთ მეგობრული, ნათესაური, შერეულ ოჯახებს შორის ურთიერთობა, მეორე მსოფლიო ომისა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა შეხვედრა. ჩვენი წინაპრების — ნათესავების სასაფლაოების თავისუფლად მონახულება და სხვ.

აფხაზო ძმებო, მოდით, ვცადოთ ის, რაც ჩვენ შეგვიძლია, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, ხელისუფლება გააკეთებს.

**ბატონო კონსტანტინე, მოდით მტრის ჯიბრზე, შევხვდეთ ერთმანეთს და თუ ეს შევძელით, ბევრ რამეს გავაკეთებთ! ეს კი, მომავალი თაობისთვის ერთობ სასარგებლო იქნება!**

**შეხვედრის იმედით,**

**მამანტი ჯოლია,**
ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

[illegible]

2011 წლის 1 [illegible]

[illegible] – 204505808

[illegible] "საქართველოს გზა"

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| | | |
| [illegible] | - | - |
| [illegible] | 11561.62 | 21999.01 |
| [illegible] | 11561.62 | 21999.01 |
| | | |
| [illegible] | | |
| [illegible] | - | - |
| [illegible] | - | - |
| [illegible] | 11561.62 | 21999.01 |

[illegible]

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● წითელი ჯვრის სიმბოლოდ გამოყენებაზე თურქეთმა უარი განაცხადა —ჯვარი ქრისტიანული სიმბოლოაო და შექმნა საკუთარი სიმბოლო — ნახევარმთვარე.

● 1992 წელს სამეცნიერო-იუმორისტული პრემია ეკონომიკის დარგში მიენიჭა ამერიკელ ფინანსისტ-მაქინატორ მაიკლ მილკენს, იმისთვის, რომ ის მთელი წლის განმავლობაში ციხეში იჯდა.

● ესპანეთში მონათვაჭრობის ცენტრი სევილია იყო.

● 1703 წელს ხომალდის შკიპერმა, რომელმაც ღვინო და მარილი ჩაიტანა სანკტ-პეტერბურგში, პრემიის სახით 5000 ოქრო მიიღო, მეზღვაურებმა კი — 30 ტალერი. ეს იყო სანკტ-პეტერბურგში შესული პირველი უცხოური გემი.

● არისტოტელეს განმარტებით, იგი პოლიტიკური ცხოველია, თომას აკვინელი (XIII ს) მას საზოგადოებრივ ცხოველს უწოდებდა, ბენჯამინ ფრანკლინის განმარტებით კი არის ცხოველი, რომელიც იარაღს ამზადებს და იყენებს — ეს გახლავთ ადამიანი.

● 1716 წელს პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმმა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს ქარვის ოთახი აჩუქა.

● 1599-1658 წ.წ. ინგლისის რევოლუციის შემდეგ ცნობილმა სამხედრო დიქტატორმა ოლივერ კრომველმა ლორდ-პროტექტორის თანამდებობა მიიღო.

● დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო და ეს გახლდაათ... ფარაონი.

● ბუსტროფედონი დამწერლობის ერთ-ერთი ძველი ფორმაა და მისი ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ის არის, რომ ტექსტის პირველი სტრიქონი იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო მეორე — მარჯვნიდან მარცხნივ და ა.შ.

● 1714-1741 წლებში, პეტრე I-ის განკარგულებით რუსეთის ყველა ქალაქში აიკრძალა ქვისგან საცხოვრებელი სახლების აშენება, რადგან პეტერბურგის ასაშენებლად არ ჰყოფნიდათ ქვითხუროები.

● 1943 წელს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქ პოზარევცაში ესესელი ოფიცერი პატარა ბიჭს კანფეტით გაუმასპინძლდა. ბავშვმა კანფეტი გამოართვა და სახეში ესროლა. დედა მივარდა და სილა გააწნა ბავშვს. ესესელმა იკითხა რამდენი წლისააო. უპასუხეს, ორისო. ოფიცერმა პირქუშად გაიღიმა და ქალს უთხრა: „თქვენი შვილი დიდი ნაძირალა გაიზრდება“. ეს სლობოდან მილოშევიჩი იყო.

● ტაისონ-ჰოლიფილდის მატჩის ამსახველი კადრები, რომელშიც ტაისონმა მეტოქეს ყური მოაჭამა, ერთ-ერთმა ფირმამ თავისი რესტორნის რეკლამისთვის გამოიყენა — მისი მენიუ მხოლოდ ვეგეტარიანული კერძებისგან შედგებოდა.

● ტაისონისა და ჰოლიფილდის მატჩის შემდეგ მაღაზიებში იყიდებოდა შოკოლადი, რომელსაც ადამიანის ყურის ფორმა ჰქონდა და 3 დოლარი და 50 ცენტი ღირდა.

● ემელიანე პუგაჩოვი თავს პეტრე მესამედ ასაღებდა.

● გერმანიის მეფე ფრიდრიხ ბარბაროსა მცირე აზიაში, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, მდინარე სალეფზე გადასვლისას დაიხრჩო.

● მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელები ოფიციალურად ტყვედ ჩაბარდნენ ამერიკელ გენერალ დუგლას მაკარტურს.

# განცხადება

**გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54. 1[1] მუხლის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 18.5 მუხლის შესაბამისად სს „ელმავალმშენებლის“ 87 პროცენტ აქციათა მფლობელი კომპანია „LOKO TRANS HOLDINGS B.V.“-ის რწმუნებულმა ოლეგ გიორგის ძე ზირიანოვმა განიხილა რიგი საკითხები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:**

2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ წესდება ახალი რედაქციით.

2.1. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ვადის გასვლის გამო შეუწყდეთ უფლებამოსილება და გამოწვეულ იქნან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან შემდეგი წევრები:

1. ალექსადროვა ელენა ნიკოლოზის ასული
2. ალექსანდროვი ვიქტორი ივანეს ძე
3. ალექსეევი ევგენი ალექსანდრეს ძე
4. ბერიძე დავითი ანდროს ძე
5. ბოიარსკიხი გენადი სერგოს ძე
6. ბოიარსკიხი მაქსიმი გენადის ძე
7. ბოროვიკოვი სტანისლავი სერგოს ძე
8. გლაზირინი დიმიტრი სერგოს ძე
9. ეპიფანოვი ვლადიმირი მიხეილის ძე
10. ვასილევი ანდრეი ივანეს ძე
11. ზალდასტანიშვილი კონსტანტინე ნოდარის ძე
12. ივანოვა ანა მიხეილის ასული
13. ნაუმოვა მარინა ვასილის ასული
14. პანოვა ევგენია ანატოლის ასული
15. ტეპიშევი ალფეი კონსტანტინეს ძე
16. ტუგბაევი იგორი ვლადიმირის ძე
17. ჩუიკო ტატიანა ვალენტინის ასული
18. ხეილო სერგეი ბორისის ძე
19. ჯიშკარიანი იური ივანეს ძე

2.2. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 14 კაცით.

2.3. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 4 წლის ვადით არჩეულ იქნან:

1. ალექსადროვა ელენა ნიკოლოზის ასული
2. ალექსანდროვი ვიქტორი ივანეს ძე
3. ალექსეევი ევგენი ალექსანდრეს ძე
4. ბერიძე დავითი ანდროს ძე
5. ბოიარსკიხი გენადი სერგოს ძე
6. ბოროვიკოვი სტანისლავი სერგოს ძე
7. გლაზირინი დიმიტრი სერგოს ძე
8. ეპიფანოვი ვლადიმირი მიხეილის ძე
9. პანოვა ევგენია ანატოლის ასული
10. ტეპიშევი ალფეი კონსტანტინეს ძე
11. ტუგბაევი იგორი ვლადიმირის ძე
12. ჩუიკო ტატიანა ვალენტინის ასული
13. ხეილო სერგეი ბორისის ძე
14. ჯიშკარიანი იური ივანეს ძე

3. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის დადგინდეს ანაზღაურების შემდეგი წესი:

3.1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — თანამდებობრივი სარგო 1 600,00 (ათას ექვსასიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 3 200,00 (სამი ათას ორასიძ ლარი.

3.2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — თანამდებობრივი სარგო 1 450,00 (ათას ოთხას ორმოცდაათიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 2 175,00 (ორი ათას ასსამოცდათხუთმეტიძ ლარი.

3.3. სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგ წევრებს:
ალექსანდროვა ელენა ნიკოლოზის ასული
ბოიარსკიხი გენადი სერგოს ძე
ტუგბაევი იგორი ვლადიმირის ძე
ჯიშკარიანი იური ივანეს ძე
განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგო 1 430,00 (ათას ოთხას ოცდაათიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 2 170,00 (ორი ათას სამოცდაათიძ ლარი.

3.4. სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგ წევრებს:
ალექსანდროვი ვიქტორი ივანეს ძე
ალექსეევი ევგენი ალექსანდრეს ძე
ბოროვიკოვი სტანისლავი სერგოს ძე
გლაზირინი დიმიტრი სერგოს ძე
ეპიფანოვი ვლადიმირი მიხეილის ძე
პანოვა ევგენია ანატოლის ასული
ტეპიშევი ალფეი კონსტანტინეს ძე
ჩუიკო ტატიანა ვალენტინის ასული
ხეილო სერგეი ბორისის ძე
განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგო 1 400,00 (ათას ოთხასიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 2 100 (ორი ათას ასიძ ლარი.

3.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ბერიძე დავით ანდროს ძეს — განესაზღვროს თანამდებობრივი სარგო 720,00 (შვიდას ოციძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 720,00 (შვიდას ოციძ ლარი.

3.6. სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრების ანაზღაურება, რომლებიც არჩეულნი იქნებიან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ავტომატურად განისაზღვროს ამ თანამდებობებისათვის განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობის შესაბამისად.

**სს „ელმავალმშენებლის“
სამეთვალყურეო საბჭო**

განსჯა

# ტუნისის მოვლენებიდან მთავარი გაკვეთილი ყველამ უნდა გამოიტანოს



***როგორ იმოქმედებს რუსეთზე ევროპარლამენტის მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება, როგორი უნდა იყოს ოფიციალური თბილისის პოზიცია რეგიონში თურქეთის მზარდი ამბიციების ფონზე, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე სხვა მიმდინარე პროცესებზე, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრსა და სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანადირექტორს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.***

**– ბატონო ირაკლი, ევროპარლამენტმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო, რომელიც ევროპულ სტრუქტურებს საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთზე ზემოქმედებას ავალდებულებს. მასში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ყოფნა ოკუპაციად არის შეფასებული. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განმარტებით, ევროპარლამენტმა ტერმინი „ოკუპაცია“ პირველად სწორედ თავის უკანასკნელ რეზოლუციაში გამოიყენა. გასაგებია, რომ გაეროში რუსეთის ვეტოს გამო, აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოსათვის მომგებიანი რეზოლუციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მაგრამ მანამდე რა უშლიდა ხელს ევროპულ სტრუქტურებს, რომ ტერმინი „ოკუპაცია“ გამოეყენებინათ?**

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, ძნელია. ადრეც არაერთი დოკუმენტი მიღებულა რეგიონის შესახებ, სადაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტია ნახსენები, მაგრამ მათში ტერმინი „ოკუპაცია“ არ უხმარიათ. შეიძლება, ეს იმითაც აიხსნას, რომ ევროპა რუსეთთან როგორმე საერთო ენის გამოძებნას ცდილობდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკითხების შეფასებისას ევროპარლამენტი უფრო მკვეთრი შეფასებებით გამოირჩევა-ხოლმე. ჩემი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ტერმინი „ოკუპაცია“ ევროკავშირის დოკუმენტებში პირველად გაჩნდა.

**– დასავლეთი და აშშ ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, ასეთ ვითარებაში, რა გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთზე ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა მორიგმა რეზოლუციამ?**

– არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ რეზოლუციის მიღების შემდეგ რუსეთი მყისიერად დაიწყებს 12 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და უცებ ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება. მაგრამ ეს არის ამ საკითხში კიდევ ერთი ნაბიჯი საერთაშორისო პოზიციის უფრო მტკიცედ ჩამოყალიბების და, შესაბამისად, რუსეთზე ზემოქმედების გაძლიერების თვალსაზრისით. ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი გვაქვს, ასე დავინახოთ და შევაფასოთ ევროპარლამენტის მიერ მიღებული ბოლო დოკუმენტი. სხვათა შორის, რეზოლუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევა. რეზოლუციაში კატეგორიულად არის მოთხოვნილი ზომების მიღება ამგვარი მოქმედების აღსაკვეთად.

**– თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ვიზიტი თეირანში და ირანულ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ანკარის ინიციატივები აშკარად მიანიშნებს, რომ თურქეთი რეგიონული ლიდერის როლს ირგებს. ვითარებაში, როცა რჩება შთაბეჭდილება, რომ ანკარა ვაშინგტონის კონტროლიდან გამოსულია, როგორი უნდა იყოს ოფიციალური თბილისის პოლიტიკა მეზობელი თურქეთისადმი?**

– ჩვენი დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და დღესაც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად რჩება როგორც ეკონომიკის, ისე უსაფრთხოების სფეროში. საქართველოში გულისყურით ადევნებენ თვალს როგორც თურქეთის საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს, ისე საგარეო ასპარეზზე ანკარის აქტივობას. თბილისში არ გამორჩენიათ ბატონ ერდოღანის მოწოდება არაბული სამყაროსადმი ერთიანობისა და თანამშრომლობის ერთიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. თავის დროზე არც თურქეთისა და ბრაზილიის ერთობლივი ინიციატივები დარჩენილა უყურადღებოდ.

თურქეთის საგარეო აქტივობის ძირითადი თეზისი ყველა მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება გახლავთ და ნათელია, რომ თურქეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ამ სტრატეგიას ახორციელებს კიდეც. რამდენიმე წლის წინათ თურქეთს მეზობლების უმრავლესობასთან სხვადასხვა ტიპის პრობლემები ჰქონდა. საქართველო, ალბათ, ერთადერთი მეზობელი იყო, რომელთანაც მისი ურთიერთობა სრულიად უპრობლემო გახლდათ.

შესაბამისად, საქართველომ უნდა ითანამშრომლოს ამ დიდ მეზობელთან, რომლის რესურსები ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსზრისით ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



**– სურსათზე ფასების ზრდამ ტუნისში ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლა გამოიწვია. რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ თავიდან აიცილოს როგორც სურსათზე ფასების კატასტროფული ზრდა, ისე სოციალური აფეთქება უარყოფითი შედეგებით?**

– სურსათსა და საწვავზე ფასების ზრდა მოსახლეობის უკმაყოფილებას ყველგან იწვევს. ტუნისში განვითარებული პროცესებისას უკმაყოფილების ერთ-ერთი საბაბი ესეც გახლდათ, მაგრამ ნუ ჩავთვლით, რომ ტუნისში პროცესები მხოლოდ სურსათზე ფასების ზრდის გამო განვითარდა ისე, როგორც განვითარდა. ტუნისში მოსახლეობის გამოსვლები და ხელისუფლების შეცვლა ქვეყნის მართვაში დაშვებული შეცდომებისა და მართვის არადემოკრატიულობის შედეგი გახლდათ. აქ პარალელის გავლება შესაძლებელია ყირგიზეთში განვითარებულ პროცესებთან, სადაც დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის პრობლემა აშკარა იყო. სადაც სტაბილურობა არა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე, არამედ ძლიერი ხელის მქონე პოლიტიკური ლიდერის ან ლიდერთა ჯგუფის არსებობაზეა დამოკიდებული, ტუნისის მსგავსი შედეგები არცთუ იშვიათად დგება-ხოლმე. როდესაც ხალხისთვის მიუღებელი ხდება მმართველობის ასეთი ავტორიტარული ფორმა, რევოლუციისთვის საბაბი ყოველთვის გამოიძებნება, ეს ან საკვები პროდუქტების გაძვირება იქნება ან – სხვა რომელიმე გადაუჭრელი სოციალური საკითხი. ვფიქრობ, ამ საკითხზე დაფიქრება მართებს ყველა ქვეყანას და რა თქმა უნდა საქართველოსაც.

სტაბილური და კრიზისებისადმი მდგრადი სიტუაცია მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებებშია, სადაც ქვეყნის შიგნით სტაბილურობა და სოციალური სიმშვიდე ფუნქციონერებადი დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობაზეა დაფუძნებული. ვფიქრობ, ეს არის მთავარი გაკვეთილი, რომელიც ტუნისის მოვლენებიდან ყველამ უნდა გამოიტანოს.

**კობა ბენდელიანი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „საქართველოში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს“

„შედიხარ თბილისის ნებისმიერ რესტორანში, და თავისუფალი ადგილი არ არის. მაგრამ რესტორნებში უმცირესობაა. უმრავლესობას კი ძალიან უჭირს“, – განაცხადა ჩვენთან ინტერვიუში ცნობილმა სოციოლოგმა რამაზ საყვარელიძემ. ასეთი კომენტარი გაუკეთა მან ცნობების ნაკადს საქართველოს მცხოვრებთა მუდმივი საპროტესტო აქციების შესახებ. ამ დროს, ოფიციალური მონაცემებით, ცხოვრება ქვეყანაში უმჯობესდება. ქუჩის მასობრივი საპროტესტო აქციები საქართველოში მიმდინარეობს თითქმის ყოველდღიურად. ოპოზიციის ლიდერები მდგომარეობას ქვეყანაში კატასტროფულს უწოდებენ და საგაზაფხულოდ ახალ ქუჩის მასობრივ პროტესტებს გვპირდებიან. მაგალითად, ხუთშაბათს თბილისის თერთმეტსავე რაიონში მოხდა წინააღმდეგობის კომიტეტების პრეზენტაცია, რომლებიც შექმნა ოპოზიციურმა „საქართველოს საყოველთაო სახალხო კრებამ“. ისინი მოამზადებენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებს, მობილიზაციას გაუკეთებენ ამის მომხრეებს. „საყოველთაო კრების“ ლიდერები, მათ შორის ნინო ბურჯანაძეც, საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმი უკვე წელს უნდა შეიცვალოს.

იმავე დღეს პარლამენტთან უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროში გაიმართა 200 ლტოლვილი ოჯახის წარმომადგენელთა პროტესტი. მათ ხელისუფლება თბილისიდან სიღრმეში გასახლებას უპირებდა.

როგორც მეთვალყურეები აღნიშნავენ, საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმის, გარეგნული იერი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იმ დროსთან შედარებით, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე მართავდა ქვეყანას.

დამოუკიდებელი სოციოლოგები განმარტავენ, რომ სააკაშვილის პოპულარობა 2008 წლის აგვისტომდე მართლაც მაღალი იყო, მაგრამ ახლა ეს უკვე წარსულია. იმის შესახებ, რომ სააკაშვილისადმი ნდობის დონე ოფიციალური პროპაგანდის მიერ გაზრდილია რამდენჯერმე და საზოგადოების რეალური უკმაყოფილება კი იზრდება, გვესაუბრება სოციოლოგი რამაზ საყვარელიძე.



***– ბატონო რამაზ, ოფიციალური სოციალური გამოკითხვების გამოთვლები სააკაშვილისადმი ნდობის შესახებ უხეშად განსხვავდება იმ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებისაგან, რომლებსაც აწყობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. თქვენი აზრით, როგორია სინამდვილეში ქართველების ნდობა ხელისუფლებისადმი?***

– ქვეყნის მოსახლეობა ყველაზე დიდი ნდობით ეკიდება მართლმადიდებელ ეკლესიას და მის ხელმძღვანელს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ჩვენ არ გაგვაჩნია ზუსტი ციფრები იმის შესახებ, თუ როგორია მისი პირადი რეიტინგი, მაგრამ ემპირიულად შეიძლება მტკიცედ განვაცხადოთ, რომ ილია მეორე – ყველაზე ავტორიტეტული ადამიანია საქართველოში. თანაც მას თანაბრად პატივს სცემენ როგორც ხელისუფლების მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ გამოკვლევებს, რომლის დროსაც სექტემბერ-ოქტომბერში გამოიკითხა საქართველოს 1200 მცხოვრები, მიხეილ სააკაშვილის და მისი ხელქვეითი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კურსს მხარი დაუჭირა რესპონდენტთა 67 პროცენტმა, 28 პროცენტი მას არ ეთანხმება.

ამ მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა 83 პროცენტი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს გაიზარდა შრომითი დასაქმების მაჩვენებელი, 15 პროცენტი საპირისპირო აზრს უჭერს მხარს. ამ დროს 75 პროცენტმა მხარი დაუჭირა უმუშევრობასთან ბრძოლის პოლიტიკას, რასაც თბილისის მერი გიგი უგულავა ახორციელებს, 21 პროცენტმა კი – არა.

ეს არის ოფიციალური სტატისტიკა და მე მას დიდად არ ვენდობი. არის სხვაობა და მეტად არსებითიც. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 16 პროცენტს, ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ეს მაჩვენებელი 85 პროცენტამდე გაიზარდა. მე პირადად უფრო ოპოზიციას ვენდობი.

***– როგორია სინამდვილეში ოპოზიციისადმი ნდობა?***

– ოფიციალური მონაცემებით, ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ლიდერია „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომელსაც მხარი დაუჭირა რესპონდენტთა 47 პროცენტმა. გამოკითხულთა 40 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ მოსწონთ პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, 22 პროცენტს – ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, 11 პროცენტს – „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა, 9 პროცენტს – „საქართველოს პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან გაჩაჩილაძე, 8 პროცენტს – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერი გოგი თოფაძე.

კითხვებს იწვევს, კერძოდ, „ეროვნული ფორუმის“ დაბალი რეიტინგი, რომლის ინიციატივითაც შემოდგომით ოპოზიციურმა პარტიებმა წამოაყენეს ახალი კონკრეტული მოთხოვნები, აგრეთვე რეიტინგში პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ამჟამად კი „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის არყოფნა – იგი ხომ სახალხო წარმომადგენლობითი კრების მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორია?

***– თუ შეიცვალა საქართველოს მცხოვრებთა დამოკიდებულება 2008 წლის ომის შედეგებისადმი? უმრავლესობა ძველებურად უჭერს მხარს სააკაშვილის მაშინდელ მოქმედებებს?***

– ოცი წელია ვცდილობთ, დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები, ძირითადად ვცდილობთ ჩვენთვისვე შევიქმნათ „ფანტასტიური“ სიმღერები, მაგრამ სიმღერები პრობლემებს ვერ გადაჭრის. უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები. საქართველოს საზოგადოება ტაშს უკრავს ყოველ ავანტიურისტს, რომელიც დაიყვირებს, რომ მიდის იმ ტერიტორიების დასაპყრობად, რომლებიც თბილისს არ ემორჩილებიან. როდესაც არის ასეთი ლოზუნგებისადმი მხარდაჭერა, ყოველთვის შეიძლება მონახო შესაბამისი პოლიტიკური პერსონაჟი.

ომის შემდეგ საქართველო საერთაშორისო ვაკუუმში აღმოჩნდა, გახდა უიმედო პარტნიორი, ვინაიდან არც ერთი საღად მოაზროვნე ქვეყანა არ დაუდგება გვერდით იმ სახელმწიფოს, რომელიც ისწრაფვის ყველას ჩართვას ომში. არ შეიძლება დილით ისაუბრო, რომ გსურს გადაჭრა კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, საღამოს კი დაიწყო სამხედრო მოქმედებები.

ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველოში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს, და რადგან საზოგადოებრიობა ამას ურიგდება, ამით იგი მთელ თავის ნებას უთმობს ერთ კაცს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში – ქვეყნის პრეზიდენტს. ამიტომ ჩამოუყალიბდა საქართველოს არასაიმედო პარტნიორის იმიჯი. ჩვენ უცხოეთში უნდა აღვადგინოთ ჩვენი ხალხისადმი ნდობა.

***– ოფიციალური მონაცემებით, როგორც თქვენც აღნიშნეთ, ქართველების 58 პროცენტი ოპტიმისტურად იყურება მომავლისკენ. თქვენი მონაცემებით თუ თქვენი შეგრძნებით, რამდენად მტკიცე რწმენით იმზირება ხალხი მომავლისკენ?***

– როგორია ოპტიმიზმის დონე საზოგადოებაში? ძნელი გასაზომია. ხალხს აქვს იმედი, რომ ცხოვრება გაუმჯობესდება. მაგრამ იქნება ეს ასე თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს, ვიქონიოთ უკეთესის იმედი.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

◉ დღეს საღამოს მარჯანიშვილის თეატრის წინ

# ვარსკვლავად იქცა ვარსკვლავი



**ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა „ზემოთ“ და დღეს, მარჯანიშვილის თეატრის წინ, „ვარსკვლავს“ უხსნიან ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეულ მსახიობს, ჭეშმარიტ მამულიშვილს თენგიზ არჩვაძეს.**

ერთ-ორჯერ ჩვენმა გაზეთმაც „შეახსენა“ დედაქალაქის მერიის კულტურის სამსახურს, თუ ვისმეს ეკუთვნის „ვარსკვლავის“ გახსნა, ცხადია, თენგიზ არჩვაძესო, თუმცა, არა მგონია, ამ პუბლიკაციებს შეეფუცხუნებინოთ დედაქალაქის „მამები“, მათ, ეტყობა, თავიანთი წესი და რიგი აქვთ და აი, ქართველი ხალხის საყვარელ მსახიობსაც „მოუწია“ თავისი რიგი.

ასეა თუ ისე, დღეს, საღამოს 8 საათზე ჩვენი ძვირფასი თენგიზის „ვარსკვლავიც“ „აკიაფდება“ უზნაძისა და მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეში. ეს ისე, ამერიკულ-ევროპულ ყაიდაზე, თორემ, რა ხანია თენგიზ არჩვაძის, როგორც მსახიობის ვარსკვლავი კიაფობს ქართული ცის კაბადონზე, ეფერება მშობელ მიწას, გულს უთბობს თაობებს.

**— ჰოლივუდში შენი დონის მსახიობს ძეგლს დაუდგამდნენ, უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა...** — ვეუბნები ერთხელ ჩემს უფროს მეგობარს, ჩემს უსაყვარლეს პიროვნებას, რომელიც ყოველდღიურ გაწამაწიას, ქვეყნის დაუსრულებელ არეულ-დარეულ სიტუაციას, გაპოლიტიკოსებულ ნაცნობ-მეგობრებსაა გარიდებული და არაგვისპირას ცხოვრობს თავისთვის.

თავისებურად შუბლს იჭმუხნის: — კარგი რა... ჩვენ აგერ, გუშინ, ქართველი საბჭოთა მსახიობები ვიყავით, სულ სხვა წესითა და რიგით ვცხოვრობდით... თუმცა, უდიდესი დაფასება ჰქონდა ჩვენს პროფესიას... საკმაო ჰონორარსაც ვიღებდი... ვიღებდი და ვხარჯავდი, მეტი რა შემრჩა... ახლა კი დიდი კაცის — ბიძინა ივანიშვილის წყალობით ვარსებობ... ეეეე... ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ...

**— ადვილი არ იყო ამის მოპოვება...**

— ცხადია, გრძელი გზა გავიარე... 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამიწევია...

**— გიორგი შავგულიძესთან...**

— მაშ... გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... რეზო ხობუას დაბადების დღეს ვთქვი თეატრში — ერთი ოცდაათი კაცის პურმარილს მე ვკისრულობ რეზოს სახელზე რესტორან „საქართველოში“-მეთქი. მივდექმოვდექი, იქ ნაცნობები მყავს... გააწყვეს სუფრა... ველოდები, ველოდები... კაცი არ მოვიდა... რა ჰქვია ამას?! რატომ შეიცვალა ხალხი?! მოდი, ჩვენი წასული მეგობრების ხსოვნისა ვთქვათ!.. მაინც მომავლის იმედი მაქვს... იცი, რა შვილიშვილები მყავს? ანუკამ საოცარი რამ მითხრა ერთხელ: ბაბუ, ისე მიყვარხარ, როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო... გესმის?!

... ამ საღამოს, რა თქმა უნდა, შვილიშვილებიც დაესწრებიან ბაბუის „ვარსკვლავის“ „აკიაფებას“. ბაბუ ხომ ყველაფერია მათთვის.

ჰაი, ჰაი, რომ ყველა ვერ იქმს თენგიზობას, ძნელია, მეტადრე ჩვენს დროში, საკუთარი პრინციპებით, რწმენით, მამა-პაპათაგან ჩანერგილი ზნეობით ცხოვრება... ღმერთმა დიდხანს აცხოვროს იგი, სათაყვანებელი სამშობლოს უკეთეს მერმისს მოასწროს, დიდხანს ეკიაფოს მის ვარსკვლავს.

მასზე ვწერ და, რა გასაკვირია, ლექსის მუზაც მეწვია:

**შენი არსებობა, ძმაო,**
**ქართულია,**
**შენი სახეები, ძმაო, მარადია,**
**კვლავაც მოგვგვრის ყველას —**
**სიხარულს და სევდას,**
**შენი არსაკიძე, შენი ზარანდია.**
**ჩემი იდეალი ქეთელაურია,**
**შენ რომ გაგვიცოცხლე, ასე,**
**შთაგონებით,**
**ღმერთმა დაგილოცოს**
**დედასაქართველო,**
**თანაც, ნამეტნავად,**
**რაჭის მთა-გორები.**

იცოცხლეთ, თენგიზ ბატონო!

ვილენ მარდალეიშვილი



◉ დიდი ცხოვრება

# ჟამი დაფიქრების და გამოღვიძებისა

(მეხუთე გვერდიდან)

რომელიც წმინდა წიგნის მიხედვით, „ქედმაღალთ მუსრავს ღმერთი, მდაბალი კი მადლით მოსავს“ (იაკ. 4,6).

**— 25 იანვარს 83-ის ხდებით. გრძნობთ რაიმე განსხვავებას 16 წლის რომ გახდით, იმ დაბადების დღესა და ამჟამინდელს შორის?**

— პრინციპულად — არა. რადგან ბავშვობიდან სულ საქმეში ვიყავი ჩართული. ახლაც ვმუშაობ, ახალ წიგნს ვამზადებ გამოსაცემად. თუმცა რაღაც განსხვავება, რა თქმა უნდა, არის. იმ ჩემს ყმაწვილობაში ოჯახში დავა და კამათი იყო, ექიმი გამოვსულიყავი, ინჟინერი თუ სხვა სპეციალობას დავეუფლებოდი.

ექიმობა ფერშლობით დამაწყებინეს. ერთხელ პრაქტიკის გასავლელად საავადმყოფოს მიგვამაგრეს. პირველად მორგში შეგვიყვანეს. ის დღე იყო და ის დღე. ჩემ დას, რომელიც მაშინ მპატრონობდა, კატეგორიულად განვუცხადე, რომ ექიმობაზე უარს ვამბობდი. რატომ? იმიტომ, მორგში ცხედრები რომ დავინახე, ისე შემზარა, მივხვდი — არ იყო ჩემი საქმე ექიმობა.

ასეც გამოვიდა (ღიმილი).

წიგნი, რომელზეც ვფიქრობ, საქართველოში ჩემი დაბრუნების პერიოდს ეხება — იმ დროიდან დღემდე ჩამორთმეულ ინტერვიუებზე იქნება აგებული. გარდამავალი პერიოდის — მეოცე საუკუნის დასასრულიდან ოცდამეერთეს დასაწყისის ისტორია იქნება წარმოდგენილი. დოკუმენტური ისტორია.

ერთ დოკუმენტურ ფაქტს, თუმც დოკუმენტით დაუდასტურებელს, ჰყვება ნუგზარ ფოფხაძე და საავტორო უფლების დაცვას კატეგორიულად მოითხოვს.

— პრეზიდენტის რანგში ედუარდ შევარდნაძის პირველი ვიზიტი აშშ-ში დამთავრდა. უკანა გზაზე დელეგაცია კანადაში შეჩერდა. პრემიერ-მინისტრმა მარტინ ბრაიან მალრუნიმ დიდი პატივით მიიღო შევარდნაძე. ესაუბრება და, როგორც იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ავტორიტეტულ პიროვნებას, შესჩივლებს იმ პრობლემათა გამო, რომლებიც კანადას აწუხებს და რომლებსაც დიდი მეზობელი — ამერიკის შეერთებული შტატები უქმნის.

— თუ გნებავთ, გავცვალოთ, — უპასუხებს სტუმარი.

ეცინება შევარდნაძეს და ეთანხმება მთხრობელს — ასე იყოო.

დავუდასტუროთ ნუგზარ ფოფხაძეს საავტორო უფლება და ვთქვათ, რომ ედუარდ შევარდნაძეს მართლაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა იმდროინდელ საერთაშორისო პოლიტიკაში.

— გავა ცოტა ხანი. წამოიზრდება სრულიად ახალი, ნეიტრალური თაობა, რომელიც შევარდნაძის როლს საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში სწორად შეაფასებს. უშეცდომო და უნაკლო არავინ არის, შევარდნაძის ზოგიერთი ნაბიჯი პიროვნულად ცოტა უსიამოვნო იყო, მაგრამ პრინციპულად მიმართული იყო საქართველოს გადასარჩენად და გასაძლიერებლად. ამ დროს პირადი ემოციები განზეა გადასაწევი. ზოგს ეყო ვაჟკაცობა ამის გასაკეთებლად. ზოგს — არა.

* * *

ედუარდ შევარდნაძე კვლავ უსათვალოდ კითხულობს.

ჰოდა გვიკითხავს ჰანს დიტრიხ გენშერის მიერ გამოგზავნილ მისალოც წერილის თარგმანს, რომელიც ის-ის იყო შემოუტანეს:

**„ბატონო ედუარდ,**

**მე და ბარბარა გულითადად გილოცავთ ახალ წელს და თქვენს ოჯახთან ერთად გისურვებთ ყოველივე კარგს. ფიქრებით ჩვენ ისევ და ისევ შენთან ვართ და საუბრისას ხშირად გახსენებთ.**

**შენ დიდი წვლილი მიგიძღვის, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისაა ევროპისათვის, ჩვენთვის — გერმანელებისთვის, განსაკუთრებით კი — შენი სამშობლო საქართველოსთვის.**

**დადგება დრო, როცა შენს ისტორიულ ღვაწლს, მიმართულს საქართველოს დამოუკიდებლობისკენ და, ასევე, ქვეყნის შიგნით მშვიდობის შესანარჩუნებლად, შენს საკუთარ ქვეყანაშიც აღიარებენ. როდესაც შენ შენმა ხალხმა გიხმო, მაშინ შენ დაბრუნდი შენს ქვეყანაში და შესძელი შეგეჩერებინა საშინელი სამოქალაქო ომი. შენ რთული გზა განვლე და ეს ყველაფერი დარჩება ისტორიაში.**

**და რაც მარად შენ გეკუთვნის, ეს არის ჩემი მეგობრობა, ეს არის უდიდესი პატივისცემა და მადლიერება შენდამი.**

**გულწრფელად მოგესალმები და გეხვევი,**

**შენი ჰანს დიტრიხ გენშერი“.**

* * *

**თემა განსჯისთვის P. S.-ის ნაცვლად**

**გაავლეთ პარალელები შემდეგ გამონათქვამებს შორის:**

**— გავა ცოტა ხანი. წამოიზრდება სრულიად ახალი, ნეიტრალური თაობა, რომელიც სწორად შეაფასებს შევარდნაძის როლს საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში (ნუგზარ ფოფხაძე).**

**— დადგება დრო, როცა შენს ისტორიულ ღვაწლს... შენს საკუთარ ქვეყანაშიც აღიარებენ (ჰანს დიტრიხ გენშერი).**

არმაზ სანებლიძე

◉ ინფორმაცია

## ექიმებს ლიცენზია შეუჩერეს

**პროფესიული განვითარების საბჭომ ექიმ ივა კუზანოვს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია შეუჩერა. ამის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილემ თემურ პირველაშვილმა დაადასტურა.**

**საქმე ეხება გასულ წელს ჩატარებულ ოპერაციას. 17 წლის დავით თოთოშვილს კუზანოვის კლინიკაში ჩაუტარდა ფეხზე ნერვის აღდგენის ოპერაცია, რის შემდეგაც გაირკვა, რომ პაციენტს აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. ოპერაციას მოჰყვა გართულებები, რის შემდეგადაც 17 წლის მოზარდი გადააფრინეს ისრაელში, სადაც ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა.**

**როგორც პირველაშვილი განმარტავს, პროფესიული განვითარების საბჭომ აღნიშნული მოზარდის მკურნალობის საკითხები განიხილა, რომელშიც მონაწილეობდა ივა კუზანოვის კლინიკაც და სხვა კლინიკებიც. „პაციენტის მკურნალობის დროს აღმოჩენილი ხარვეზების გამო ბატონ ივასა და სხვა ექიმებს, გარკვეული ვადით, შეუჩერდათ სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია“, — განაცხადა პირველაშვილმა.**

**მისივე თქმით, კუზანოვს ლიცენზია ერთი თვით შეუჩერდა. ერთი თვის შემდეგ კი, კუზანოვის განცხადების საფუძველზე, პროფესიული განვითარების საბჭო განიხილავს მისთვის ლიცენზიის აღდგენის საქმეს.**

## ტრამვაის ხაზის გაყვანა გლდანის მოსახლეობას პრობლემებს მოუხსნის

**— დედაქალაქში ტრამვაის ხაზის ამოქმედების შესახებ თბილისის მერიის საქალაქო სატრანსპორტო სამსახურში ინფორმაციას ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. თუმცა როგორც ამავე სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ კომენტირებისას განმარტა, მისი სურვილია, ტრამვაის ხაზი მეტრო „ახმეტელის“ გზას აგრძელებდეს და მთელ გლდანს მოიცავდეს.**

**— მას შემდეგ, რაც თბილისის მოსახლეობა გამოიკითხება და სატრანსპორტო ქსელის შიდამეურნეობას შევისწავლით, მხოლოდ ამის მერე შეგვეძლება, ტრამვაის ხაზის მიმართულების განსაზღვრა, — აღნიშნა აკაკი ჯოხაძემ.**

**ჯოხაძის მოსაზრებით, ტრამვაის ხაზის ამოქმედება გლდანის მოსახლეობისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი.**

**— დღესდღეობით 600 მიკროავტობუსი და 150 ავტობუსი მხოლოდ გლდანს ემსახურება. ტრამვაი კი ამ პრობლემას განმუხტავდა, — აღნიშნა აკაკი ჯოხაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

**2011 წლის 16 თებერვალს დღის 11 საათზე გაიმართება სს „საქსაშენმეცნიერებას“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღე 2011 წლის 25 იანვარი.

მისამართი: ქ. თბილისი, კალ. ქუთათელაძის ქ. №8 (ალ. ყაზბეგის ჩიხი 32/34ძ.

2011 წლის 6 თებერვალს, ამხანაგობა „ისანის სავანე“ ატარებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას, დღის წესრიგი ამხანაგობის ქონების წევრთა შორის შენატანების პროპორციულად გადანაწილება. ამხანაგობის წევრები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: ქ. ჩოლოყაშვილის ქ. №52 (ყოფ. 5 დეკემბრის ქ. №52ძ, ტელ. 77 53 83; 899 216 214. ამხანაგობის თავმჯდომარე მარიამ შპორტი.

ფეხბურთი

# მოზაიკა

**სიჭინავა, მოგეხსენებათ, საამაყო საფეხბურთო გვარია და მისი წარმომადგენლის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა სწორედ ბატონი დომენტის (იგივე ზვიადისძ ზეობის პერიოდს ეროვნული ნაკრების არნახული პროგრესი დაემთხვა, მაგრამ...**

საარჩევნო სატირკო სანახაობა კანდიდატურების წარდგენის დროს დაიწყო, ანუ მაშინ, როცა ვადის ამოწურვამდე ოცი წუთით ადრე ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოში სფფ-ს მოქმედი თავკაცის ერთადერთი განაცხადი შევიდა, მაგრამ ეს თურმე ჟურნალი ყოფილა და ფილმი წინ გველოდა.

პრემიერას სასტუმრო „ჰოლიდეი ინნის“ (ყოფილი „აჭარის“ძ საკონფერენციო დარბაზმა უმასპინძლა და იქ მოვლენები ერთი პირის საწარმოს შესაბამისად განვითარდა. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, ფედერაციის აღმასკომის მორჩილმა უმრავლესობამ, იგივე ფარს-ყრილობის დელეგატებმა ერთ საათში მოაყომარეს საქმე და თავიანთ რჩეულს კიდევ ოთხი წლით გამოუცხადეს ნდობა.

დავიჯეროთ, ქართულ საფეხბურთო ოჯახში


პრეზიდენტთან ღირსეულად გამკლავების მსურველნი დაილიენ?

* * *

**კახი ცხადაძე პირველი ქართველი მწვრთნელია, რომელმაც დსთ-ს ჩემპიონთა თასი მოიგო. მან ამ წარმატებას ბაქოს „ინტერის“ თავკაცის რანგში მიაღწია, „პიპინოს“ თანაშემწეობას კი გიორგი ჩიხრაძე უწევს. შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ანალოგიური გამარჯვება თბილისის „დინამომ“ მოიპოვა, თუმცა მაშინ მას ხორვატი ივო შუშაკი ავარჯიშებდა.**

სანკტ-პეტერბურგში დასრულებული ტურნირის ფინალში აზერბაიჯანის საუკეთესო კლუბმა, რომლის ღირსებასაც 6 ქართველი იცავს, პენალტების სერიაში ბელარუსის ქალაქ სოლიგორსკის „შახტიორს“ სძლია – 6:5 (ძირითადი დრო – 0:0ძ. აღსანიშნავია, რომ ბაქოელთა მეკარე ლომაიას 6 მატჩში გოლი არ გაუშვია (ფინალში ორი პენალტი მოიგერიაძ, მისმა პარტნიორებმა კი მეტოქეებს თამაში ცენტრიდან 16-ჯერ განაახლებინეს.

დავძენთ, რომ მეოთხედფინალში აზერბაიჯანელებმა „სამამულო ომში“ (ასე შეფასდა იქაურ პრესაშიძ სომხური „მიკა“ დააჩოქეს – 4:0, რითაც თვით ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მილოცვა დაიმსახურეს, ხოლო ნახევარფინალში ადგილობრივი


„ზენიტის“ დუბლიორებს კიდევ უფრო დამაჯერებლად აჯობეს – 5:0.

* * *

**აზიის თასის გათამაშების მეოთხედფინალი.** უზბეკეთი – იორდანია 2:1, ირანი – კორეა 0:1 (დამატებით დროშიძ, იაპონია – ყატარი 3:2, ავსტრალია – ერაყი 1:0 (დამატებით დროშიძ.

**დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:** უზბეკეთი – ავსტრალია, კორეა – იაპონია. შეგახსენებთ, რომ უზბეკთა ღირსებას იქვე დაბადებული და აღზრდილი ჩვენი თანამემამულე, დაცვის დამხმარე ნახევარმცველი თემურ კოპაძე იცავს.

* * *

**იტალია.** „მილანი“ – „ჩეზენა“ 2:0, „რომა“ – „კალიარი“ 3:0, „უდინეზე“ – „ინტერი“ 3:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „რასინგი“ 3:0, „რეალი“ – „მალიორკა“ 1:0, „ვილიარეალი“ – „სოსიედადი“ 2:1.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ბირმინგემი“ 5:0, „არსენალი“ – „უიგანი“ 3:0, „ასტონ ვილა“ – „სიტი“ 1:0.

**გერმანია.** „ბორუსია“ – „შტუტგარტი“ 1:1, „გლადბახი“ – „ლევერკუზენი“ 1:3, „ბაიერნი“ – „კაიზერი“ 5:1.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჭადრაკი

# მაია ლომინეიშვილი საქართველოს ჩემპიონია



**ანაკლიაში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით სხვადასხვა ქალაქის 13 წარმომადგენელი ჩაება. 12 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა მაია ლომინეიშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა. უკეთესი კოეფიციენტით პირველ ადგილზე ლომინეიშვილი გავიდა, რომელმაც ტიტული მეხუთედ დაიმსახურა.**

ასევე კოეფიციენტმა გადაწყვიტა ბრინჯაოს მედლის ბედი, რადგან ნინო ხურციძემ და მაკა ფურცელაძემ 7-7 ქულას მოუყარეს თავი. მესამე ადგილი ხურციძეს ერგო. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ლელა ჯავახიშვილი (6,5ძ, საქართველოს 2010 წლის ჩემპიონი სალომე მელია (6,5ძ, სოფიკო ხუხაშვილი (5,5ძ, სოფიო ნიკოლაძე (5,5ძ, ნაზი პაიკიძე (5ძ, მირანდა მიქაძე (5ძ, ნინო ბაციაშვილი (5ძ, მარიამ დანელია (4,5ძ და მერი არაბიძე (3,5ძ.

მედალოსნები შესაბამისი (4000, 3500 და 3000 ლარიძ ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ, თანაც საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია მათ ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

რაც შეეხება ვაჟთა ჩემპიონატს, იქ შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. ფინალში ტიტულისთვის დავით ზარქუა და ლევან ფანცულაია, ხოლო ბრინჯაოსთვის გიგა ყუფარაძე და ლუკა პაიჭაძე იბრძვიან.

**ლექსო ცინცაძე**

მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალმა“ სეზონი გახსნა

**დიდუბის მანეჟში ორ დღეს გრძელდებოდა 1994-1997 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა თბილისის პირველობა, რომლითაც „სპორტის დედოფალმა“ 2011 წლის სეზონი გახსნა. შეჯიბრებაში 200-მდე გოგონამ და ბიჭმა იასპარეზა.** ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ალექსი ახვლედიანმა და გენერალურმა მდივანმა, სეულის ოლიმპიადის პრიზიორმა მაია აზარაშვილმა გვითხრეს, რომ წლეულს ზამთარშიც სპორტსმენებს უწინდებურად ცივ დარბაზში მოუწევთ ძალების მოსინჯვა, გაისად ამ დროისთვის კი მანეჟში გათბობის სისტემა დამონტაჟ-



დება და ახალი სარბენი ბილიკები დაიგება, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ჩვენი ათლეტების სავარჯიშო პირობებს და, შესაბამისად, შედეგებიც უკეთესი გვექნება.

**ახლა კი სეზონის სტარტზე გამარჯვებულთა ვინაობას გაუწყებთ: გოგონები.** ნესტან დათუნაშვილი (60 მ, 60 მ/თ, სიგრძეზე ხტომაძ, სოფი ჩალაშვილი (150 მ. 300 მ.ძ, თინათინ პაპუაშვილი (600 მ, 1000 მძ, მარიამ ოდოშაშვილი (სიმაღლეზე ხტომაძ. **ბიჭები.** გიორგი აზარაშვილი (60 მ, 150 მ, 300 მ.ძ, ჯიმი მურადოვი (60 მ/თძ, არმენ სტეფანიანი (600 მ, 1000 მძ, თემურ აზრუმელაშვილი (სიგრძეზე ხტომაძ, თორნიკე სვანიძე (ბირთვიძ.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# თსუ-მ ნავსი გატეხა

**ქართული საკალათბურთო სეზონი, ტრადიციისამებრ, ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალით გაიხსნა, რომელსაც, ასევე ტრადიციისამებრ, რუსთავმა უმასპინძლა.**

აქამდე გამართული ხსოვნის ოთხივე ტურნირი ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ენერჯი ინვესტმა“ მოიგო, თუმცა იგი, მოგეხსენებათ, წლეულს საგრძნობლად დასუსტდა და, საკუთარი კედლების ფაქტორის მიუხედავად, საპატიო ჯილდო ველარ შეინარჩუნა.



ქვემოქართლელთა ამბიციებს წერტილი ნახევარფინალში „სოხუმმა“ დაუსვა, ხოლო მეორე წყვილში თსუ-მ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ შსს-ს გუნდს სძლია. თუ გავითვალისწინებთ სტუდენტთა ტრავმირებული კაპიტნის ფანჩულიძის არყოფნასა და მათ მიერ ძალოვანთა წინააღმდეგ გადატანილი ბრძოლის სიმძიმეს, გადამწყვეტ შეხვედრაში წარმატების მეტი შანსი, სავარაუდოდ, ზღვისპირელებს უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ამის უპირველესი მიზეზი თბილისელთა ფიზიკურ მომზადებაშია საძებნი, რომლებსაც დასკვნითი რაუნდის წინ კალენდრით გამოყოფილი დასვენების ერთი დღე ძალების აღსადგენად ეყოთ. ლონდარიძისა და ბერიშვილის ძალისხმევით (მათ პარტნიორებს 25-25 ქულა შესძინესძ ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ნავსი გატეხეს – 102:86 და 2006 წელს მოპოვებულ ეროვნულ თასს კიდევ ერთი ტიტული მიუმატეს. დამარცხებულთაგან საუკეთესო პირადი მონაგარი ლაშა ფარღალავას ჰქონდა – 25 ქულა, თუმცა დამუსისა და ბალოჩკას გარეშე (პირველს ხელი სტკივა, ხოლო მეორე ერთ-ერთ ფრანგულ კლუბში გადავიდაძ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ხვალ იქვე დაიწყება ეროვნული თასის გათამაშება.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## ლიდერი ისევ ორია



**ძალზე დაძაბული, თანაც შედეგიანი გამოდგა ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირის მერვე ტური. კარლსენმა (ნორვეგიაძ დაამარცხა ნაკამურა (აშშძ, გირიმ (ჰოლანდიაძ, – ვან ხაო (ჩინეთიძ. სმიტსი (ჰოლანდიაძ დამარცხდა ფრანგ ვაშიე-ლაგრავთან, ესპანელმა შიროვმა კი დაჯაბნა რუსი გრიშჩუკი. „მშვიდობიანად“ მორიგდნენ ყაიმზე ანანდი (ინდოეთიძ და არონიანი (სომხეთიძ, პონომარიოვი (უკრაინაძ და კრამნიკი (რუსეთიძ, ლ' ამი (ჰოლანდიაძ და ნეპომნიაშჩი (რუსეთიძ.**

8 ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლიდერობენ ანანდი და ნაკამურა, 5-5 ქულა აქვთ კრამნიკს, არონიანს, კარლსენს, ვაშიე-ლაგრავს, 4,5 ქულა კი ნეპომნიაშჩის. შემდეგ მოდიან გირი, პონომარიოვი – 4, ვან ხაო, ლ' ამი – 3, შიროვი – 2,5, გრიშჩუკი და სმიტსი – 2.

## საჩივარი არ გავიდა

**კვიპროსის გენერალურმა პროკურატურამ დახურა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ჩინოვნიკის სპიროს მარანგოსის საჩივრის გამო წამოწყებული გამოძიება – თითქოს უკრაინამ და პოლონეთმა ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვეს უეფას აღმასკომის წევრების მოსყიდვით იმ ფულით, რომელიც გადაირიცხა კვიპროსის ოფშორით.**




თუმცა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა (**უეფა**ძ მიიღო მარანგოსის ბოდიში, მაგრამ შვეიცარიის კრიმინალური სასამართლოდან არ გამოუთხოვია თავისი ღირსების და პატივის დასაცავად მარანგოსის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი.

## როცა ასეთი სიყვარულია

**ის კი არგენტინელ მოდელსა და მსახიობს კამილა ველასკოს სამხრეთ ამერიკაში გადატანილმა რალი-რეიდმა „დაკარმა“ მოუტანა – ის დაახლოვა იქ მსუბუქი ავტომანქანების რბოლაში გამარჯვებულ ყატარის პრინცთან ნასერ ალ-ატიასთან. როგორც ლამაზმანმა თქვა, ორივე გეგმავს ცხოვრებას დიდებული მრბოლის ვილაში არგენტინის კარლოს პასეში. „ეს თავგადასავალია ჩემთვის, თუმცა მან მომხიბლა, რამაც ძალზე იმოქმედა ჩემზე, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს“.**

როგორც კამილამ თქვა, მათ ერთმანეთი გაიცნეს რალის დახურვისადმი მიძღვნილ საღამოზე, „ჩვენ ერთად ვცეკვავდით, ვლაპარაკობდით ცოტა-ცოტა ინგლისურად, ცოტა-ცოტაც ესპანურად, მაგრამ ერთმანეთის გვესმოდა“. რამდენიმე თვეში ისინი კარლოს პასეში გაემგზავრებიან, რადგან პრინცს მთებში ცხოვრება უნდა.

საპატარძლო ჯერჯერობით რჩეულის სამშობლოში – ყატარში გამგზავრებას არ გეგმავს, რადგან უკვე მეოთხე წელია, ინდუსტრიის ინჟინერის სპეციალობას ეუფლება და არ უნდა კარიერის გაწირვა. იმასაც ამბობენ, რომ ადრე ის ჩოგბურთელ ხუან მარტინ დელ პოტროს ხვდებოდაო.



## ჩვენი კარაბადინი



### სვით და გახდით

**ორ ჭიქა სუფთა უგაზო წყალს, რომელსაც მიირთმევთ საკვების მიღებამდე ნახევარი საათით ადრე, შეუძლია მოთოკოს მადა, გამოარკვიეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ამას გარდა წყალი საუცხოოდ ასუფთავებს ორგანიზმს წიდებისა და ტოქსინებისგან, რითაც სტიმულს აძლევს ნივთიერებათა ცვლას.**

მოხალისეთა ორი ჯგუფი იკვებებოდა დაბალკალორიული საკვებით, მაგრამ ერთ-ერთი ჯგუფის წევრები ამავე დროს ყოველდღიურად სვამდნენ სუფთა წყალს საკვების მიღებამდე.

სამი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „წყლის ჯგუფის" წევრები გახდნენ 7 კილოგრამით, ხოლო ისინი, ვინც საკვებს ღებულობდა მათთვის ჩვეულებრივი სასმელების — გაზიანი ან ტკბილი ჩაის თანხლებით, საშუალოდ გახდნენ 3 კილოგრამით.

### ტყუპები ერთი წლის სხვაობით

**ამერიკულ წყვილს ქალაქ მაჩესნი-პარკიდან გაუჩნდათ არაჩვეულებრივი ტყუპები. გოგონა გაჩნდა 2010 წლის უკანასკნელ წუთზე, მისი ძმა კი — 2011 წლის პირველ წამებში.**

„ვფიქრობ, რომ, ტყუპების უმრავლესობისგან განსხვავებით, ჩვენები ადვილად გადაწყვეტენ უპირატესობის საკითხს — „ქალალდზე" კერინი ერთი წლით უფროსი იქნება", — განაცხადა ბედნიერმა მამამ.

პატარები დედას უნდა ეშვა იანვრის ბოლოს, მაგრამ იმ საავადმყოფოს ექიმებმა, სადაც იგი გადიოდა მეთვალყურეობას, გადაწყვიტეს გაეკეთებინათ საკეისრო გაკვეთა ახალი წლის წინ, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო გართულებანი. ერთი ექიმი წუთებს ითვლიდა შობადობის დაწყებამდე. „ეს საუკეთესო დათვლა იყო ახალ წლამდე", — თქვა მან.



### ყველაზე მავნეები

**მეცნიერებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან განსაზღვრეს ყველაზე მავნე სიგარეტები, რომლებიც ადამიანებს არ აძლევენ საშუალებას დაანებონ თავი მოწევას. ეს არის მენთოლი.**

მენთოლი — ეს არის ნივთიერება, რომელიც არის პიტნაში ან რომელსაც სინთეტიკურად აწარმოებენ. მას შეუძლია გაააქტიუროს ადამიანის ნერვულ სისტემაში ნეირონები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სიცივის გრძნობისადმი. ამის გამო მოწევის დროს ვერ შეიგრძნობა თამბაქოს მთელი სიმაგრე. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ მენთოლიან სიგარეტებში უფრო მაღალია ჟანგბადის, ნიკოტინისა და კოტინინის ჟანგი ჩვეულებრივ სიგარეტთან შედარებით.

### ალერსიანი და ნაზები

**მამაკაცების მიდრეკილება უხეში სექსისადმი — მითია, ამბობენ გერმანელი მკვლევარები, რომლებმაც გამოიკვლიეს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სექსუალური უპირატესობანი. 30 წლისთვის მამაკაცები იწყებენ იმის შეგრძნებას, რომ მათ სჭირდებათ ალერსი და ლამაზი სიტყვები, მაგრამ 60 პროცენტი ამას გულში ინახავს, რომ სასაცილო არ აღმოჩნდეს.**

მამაკაცების 84 პროცენტმა აღიარა, რომ არ სჭირდებათ სუფთა სექსი. მათ სჭირდებათ სექსი, რომელიც ემოციურ სიახლოვეს, ნდობასა და სიყვარულს ემყარება.

### ცოლის გულისთვის



**გერმანიის ერთ-ერთი წამყვანმა მხედარმა ჰუბერტუს შმიდტმა გაყიდა თავისი საუკეთესო ცხენი დონელი, რათა გადაერჩინა თავისი მეუღლე, რომელსაც აქვს მკერდის კიბოს დიაგნოზი.** ჩემპიონი ვარაუდობდა მორიგი ოქროს მოპოვებას ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე, მაგრამ მის მეუღლესა და ორი შვილის დედას უწევს ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია და ხანგრძლივი ყოფნა ჰოსპიტალში. „ისინი გერმანიის გუნდის იმედები იყვნენ ლონდონში 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის... სიყვარულის გამო დიდმა სპორტსმენმა უარი განაცხადა თავის ოლიმპიურ ოცნებაზე", — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ბილდი".

### არათანაბარი სტარტი

**ახალშობილი გოგონა და ბიჭი შემადგენლობით დედის სხვადასხვაგვარ რძეს ღებულობენ, ამტკიცებენ გერმანელი მეცნიერები. ბიჭებს ხვდებათ საკვები ნივთიერებების უნიკალური კოქტეილი სასარგებლო ცხიმოვანი მჟავებითა და ფასდაუდებელი პროტეინებით. გოგონებს კი არ ჰყოფნით ლაქტოზები დედის რძეში.**

ბიოლოგები, რომლებიც დასპეციალებული არიან ევოლუციის საკითხებზე, ამას ასე განმარტავენ: თეორიულად მამაკაცებს თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეუძლიათ შობონ უფრო მეტი მემკვიდრეები, მაშასადამე, ახალშობილი ბიჭები თავიდანვე აძლევენ შანსს ახალშობილ დედას ჰყავდეს მეტი შვილიშვილები. „ბიოლოგიის თვალსაზრისით, ფასდაუდებელი სამკურნალო ნივთიერებანი, რომლებსაც ღებულობენ რძესთან ერთად ვაჟიშვილები, — საუკეთესო „ინვესტიციაა" საკუთარი გენებისათვის მომავალში", — განმარტავენ მეცნიერები.

## ლეო კვაჭაძის გამოსათხოვარი



# გრიგოლ ხანძთელზე დღეგრძელი...

**იანვრის მზიანი დღეა...მეტრო „დელისთან" აღმართს მივუყვები. მახსოვს ის სახლი, ოდნავ შემაღლებულზე, აივანი გზას გადმოჰყურებს...ამ აღმართზე კარგა ხნის წინათ ავდიოდი ხოლმე. 21-ე კორპუსში ჩვენი საამაყო ენათმეცნიერი ლეო კვაჭაძე ცხოვრობს. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩასაბარებლად რომ ვემზადებოდი, ქართული ენის გრამატიკა საფუძვლიანად გავიარე ბატონი ლეოს შვილის მანანას წყალობით. მაშინ ხშირად ვხედავდი ბატონ ლეოს — სენაკივით ჩამყუდროებულ სამუშაო ოთახში ბერივით მოფუსფუსეს. მისი სახელმძღვანელოებით გავიზარდე და...ყოველთვის მოწიწებით ვალებდი ამ ოჯახის კარს. ქართული სული და უჩვეულო სინათლე მეგებებოდა აქ მოსულს...**

**...ახლაც მაშინდელი განცდით ავიარე აღმართი, თუმცა სევდაც მახლდა, დილით მეგობარმა ცირა ბარბაქაძემ შემატყობინა, საუკუნის ასაკის მეცნიერი ლეო კვაჭაძე ცოცხალი აღარ არისო...**

**პირველად იების თაიგული დავინახე...მერე ის უცნაური სინათლე, რომელიც უმწიკვლო, დიდი პიროვნებების გარშემო ივანებს...და ჩვენც, უნებურად, ამ არეალში მოგვაქცევს ხოლმე...თვალცრემლიანი შვილები - თამრიკო და მანანა, სიტყვებს ვერ ვპოულობ ნუგეშის სათქმელად.**

**რამდენი განსაცდელი გადაიტანა ამ ადამიანმა და მაინც უფალმა რა ხანგრძლივი სიცოცხლე აჩუქა-მეთქი, — გავიფიქრე.**

**მოწაფეობის სამი დამოუკიდებელი წელი, 1921 წლის თებერვალი, დაუნდობელი რეჟიმის სისხლიანი რეპრესიები... წვალებით, თავგანწირვით მიიკვლევდა გზას.**

**1926 წელს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩაირიცხა. ეს ის დრო იყო, როცა რექტორობიდან გადააყენეს ივანე ჯავახიშვილი...იდევნებოდა საღი აზრი, ღვაწლმოსილ მეცნიერებს ღირსებას ულახავდნენ, რეპრესიებს თან ერთვოდა მეცნიერთა და მწერალთა მოთოკვა-მოთვინიერება...ილიას ხსენებაც კი არ შეიძლებოდა 1934 წლამდე — მწერალთა საკავშირო ყრილობამდე. 1930 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, მაგრამ ასპირანტურაში მხოლოდ კომკავშირელ სტუდენტებს რიცხავდნენ, ამიტომ სვანეთს მიაშურა პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.**

**1937 წლის რეპრესიებს გადაურჩა, მაგრამ 40-იანი წლებისას — ვერა. სამჯერ იყო დაპატიმრებული. მაინც სულით არ დაცემულა, ღირსეულად ატარა ქართველი კაცისა და მეცნიერის სახელი. სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა სახელოვანი მასწავლებლების — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას და სხვათა გზას. მონოგრაფიისთვის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი" ავტორს დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.**

**ქართული ლინგვისტური სკოლის ცოცხალ მემატიანეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის (Doctor Honoris Causa) წოდება მიენიჭა.**

**103 წლის მეცნიერი ენერგიულად შრომობდა ყოველდღე, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაისტამბა „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის" მეხუთე შევსებული გამოცემა, დაასრულა ავტობიოგრაფიული წიგნი „გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე."**

**პროფესორ ლეო კვაჭაძის გარდაცვალების გამო ინტერნეტით სინანულს უამრავი ადამიანი გამოთქვამს:**

**„რა საოცარია, ენათმეცნიერები დღეგრძელები არიან ხშირად. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს. საყვარელი ადამიანი იყო, მეცნიერებას პატიოსნად ემსახურა..."**

**„დიდი მეცნიერი, უსაზღვროდ წესიერი ადამიანი, საუკეთესო მამა, გული დამწყდა, კიდევ ერთი იმედი დაკარგა საქართველომ, ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს!"**

**„უმწიკვლოდ ემსახურა სამშობლოს და მეცნიერებას, ასეთი ადამიანები იშვიათად მოევლინებიან ხოლმე ქვეყანას!"**

**„ჩემი სტუდენტობა აკაკი შანიძის ფონეტიკა- მორფოლოგიით და ლეო კვაჭაძის სინტაქსით განვვლე. რა საოცრებაა, რომ ორივე ენათმეცნიერი ასე მხცოვანი წავიდა!"**

**„ქართულ ენათმეცნიერებაში თქვენი საიუბილეო თარიღით იხსნება „ასიანთა კლუბი," რომლის წევრადაც ჯერჯერობით მხოლოდ თქვენ და თქვენი მასწავლებელი და თანაავტორი დიდი აკაკი შანიძე შედიხართ ნამდვილი წევრის უფლებით (საპატიო წევრად 102 წლის წმინდა გრიგოლ ხანძთელი ივარაუდება, საპატიოდ — რაკი ამ დიდი საეკლესიო და ინტელექტუალის საკუთრივ ლინგვისტური ნაშრომები ჩვენთვის უცნობია)."**

**„ლეგენდა დასრულდა... მაგრამ ლეგენდა გრძელდება! სამწუხარო ერთი რამაა: ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება სასრულია! სამაგიეროდ ხსოვნაა უსასრულო. ხსოვნაში სიცოცხლე კი რჩეულთა ხვედრია!..."**

**მისი ყველაზე დიდი სათქმელი და სატკივარი საქართველოს ბედ-იღბალი იყო. „ჩვენი ერის ისტორია სისხლითა და ცრემლით იწერებოდა. სამწუხაროდ, ახლაც ასე იწერება. ერი გადაურჩა კატასტროფის მომასწავებელ ქარტეხილებს, შეინარჩუნა თავისთავადობა, ეროვნული სული და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.**

**...კაცი იმედით ცხოვრობსო, მჯერა ჩვენი ნიჭიერი ერი ყველაფერს გაისიგრძეგანებს, გონიერება გაიმარჯვებს, დაჭრილი ეროვნული სული განიკურნება..." — ასე დაგვიბარა, და დაგვტოვა სევდიან ნათელში...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

*სურათზე: ლეო კვაჭაძე და ცირა ბარბაქაძე.*

*ცირა ბარბაქაძის ფოტო.*

## გახსენება

# გრიგოლ (ოლეგი) კაკაბაძე



**კაცურად იცხოვრაო, რომ იტყვიან, ისეთი ქართველი იყო. ობლის კვერი გვიან ცხვებაო, ნათქვამია, მაგრამ ბებიაბაბუამ და სანათესაომ ობლობა არ აგრძნობინეს და მის ცხოვრებაშიც სიხარულიც naადრევად მოვიდა, „სანამ ობლის კვერი გამოცხვებოდა" — საუკეთესო შვილები, სამაგალითო ოჯახი. ახლობელთა და მოყვასთა სიყვარული არ აკლდა, რადგან თავად იყო ყველასათვის გვერდით მდგომი, მათი სიხარულისა და ცრემლის გამზიარებელი. ორი ვაჟკაცისა და პატარა ქალიშვილის მამა მათ დაფრთიანებასაც ვერ მოესწრო.**

**ახლა უკვე ორმოცი დღეა მის გარეშე ხვდებიან განთიადსა და დაღამებას. მისი დატოვებული სახელი, კაცობა ეამაყებათ და ასულდგმულებთ. იგი არამარტო მისმა მშობლიურმა სოფელმა ჩხენიშმა (სამტრედიის რაიონი), არამედ საქართველომაც დაკარგა. დაკარგა, რადგან ასეთ კაცთა ამქვეყნიდან წასვლაა ჩვენი სამშობლოს ტრაგედია.**

**ღმერთო ზეციურ საქართველოში დაამკვიდრე, სადაც მართალთა სულნი განისვენებენ.**

**ახლობლები**

**შვილები ლელა, გოჩა შათირიშვილები, ძმა სულა (გიაძ იორდანიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლალი სოლომონის ასული იორდანიშვილი**

**პანაშვიდი 25, 26 I, 16 სთ. გამოსვენება 27 I, 14 სთ. მისამართი: იოსებიძის 51.**

---

**ირაკლი, რენო, იზა, ზოია, ანზორ ჯაჭვაძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მამიდაშვილი, ენათმეცნიერი**

**ლალი სოლომონის ასული იორდანიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ძმას — სულას (გიაძ იორდანიშვილს და შვილებს — ლელა და გოჩა შათირიშვილებს.**

---

**არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**

**ლალი იორდანიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული ენის უხუცესი მკვლევარი**

**ლეო კვაჭაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**102 წლის ასაკში გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ილიას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი**

**ლეო (ლევანძ კვაჭაძე**

**გამოსვენება 25 I, 14 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან. მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. №45, კორპ. 21 (ნუცუბიძის ქ. 54).**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი



### უიღბლო გამარჯვებული

**ცხენების დოღი მსოფლიოში ბევრს იტაცებს, მოყვარულმა თუ პროფესიონალმა მოთამაშეებმა სპორტის ამ სახეობის შესახებ უამრავი რამ იციან, მაგრამ...** ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ერთ-ერთი დოღის დროს ჟოკეი ფრენსის ჰეისი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა ამ სამწუხარო ფაქტის მიუხედავად, მისი ცხენი ფინიშის ხაზზე მაინც პირველი მივიდა. ამით უბედური ჟოკეი ჰეისი მსოფლიოში ერთადერთია, რომელმაც სიკვდილის შემდეგ რბოლის მოგება შეძლო.

### ჟანა, ფსევდონიმად ფრისკე

**რუსეთული შოუ-ბიზნესის ბევრი ვარსკვლავი სცენური ფსევდონომითაა ცნობილი. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ უცხოური სახელი და გვარი მათ პერსონას მეტ იდუმალებას სძენს, ხოლო შემოქმედებას მსმენელთათვის უფრო მიმზიდველს ხდის.** საბჭოურ დროში ერთ-ერთმა პირველმა ფსევდონიმი ბალტიისპირეთში დაბადებულმა ანატოლი კალინკინმა მიიღო, რომელიც



ერთ მშვენიერ კონცერტზე კრის კელმი გახდა. მისი რუსეთელი მიმდევრები კი პოსტსაბჭოურ პერიოდში პოლიტიკური ჩარჩოებით შეზღუდულები აღარ იყვნენ, ამიტომაც ჟანა კოპილოვა უპრობლემოდ გახდა ჟანა ფრისკე, თემურ იუნუსოვი – ტიმატი, თემურ ქერიმოვი – ტიმურ როდრიგესი, სექსუალური ლადა ვოლკოვა კი – ლადა დენსი.

### სამაგიეროდ ნაკლებს ხარჯავს...

**ფული კი არის „ხელის ჭუჭყი“ თუნდაც იმიტომ, რომ ათას ხელში გამოვლილი ნებისმიერი კუპიურა უამრავი ბაქტერიის მოარული ბუდეა, მაგრამ ბანკნოტზე უბრალო ხელის შეხება ალერგიას იწვევდეს, ეს უიშვიათესი შემთხვევაა.** არადა, სწორედ ასეთი სენი სჭირს ინგლისელ ქალბატონ აივონ საიმონსს: როგორც კი ახალგაზრდა ქალი ხელს შეავლებს ფულის კუპიურას, მას მთელ ტანზე აყრის, რის გამო აუტანელი ქავილი ეწყება. ექიმები გაოცებასა და უძლურებას ვერ მალავენ, ვინაიდან მისის სიამონსს ვერაფერს შველიან.

### ძველი ტრავმების მიზეზით...

**ექიმებმა დაადგინეს, რომ თავის ტვინის ძველი, დიდი ხნის მოშუშებული ტრავმა, შესაძლოა, ეპილეფსიის მიზეზი გახდეს. ამის გარკვევა მკვლევარებმა ვიეტნამის ომის ვეტერანთა ჯანმრთელობის სამედიცინო შასწავლის შედეგად გამოიტანეს.** უნდა ითქვას, რომ გამოკვლევა ტრავმის მიღებიდან 35 წლის შემდეგ ჩაატარეს და ამ სენს „პოსტრავმული ეპილეფსია“ უწოდეს. სიახლე კი ის არის, რომ მანამდე ეპილეფსიას ძველად მიღებულ ტრავმებს არ უკავშირებდნენ. აღმოჩნდა, რომ ვიეტნამის ომის ვეტერანთა 40 პროცენტზე მეტს გულყრა სწორედ რომ წლების შემდგომ დასჩემდა. მეტად უსიამოვნოა ისიც, რომ ეპილეფსია იმ დაავადებათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება.

### ყაჩაღი, ქურდი, ნარკომანი, მოთამაშე...



**სწრაფი კვების საქვეყნოდ ცნობილი ფირმის „მაკდონალდსის“ ყოფილი თანამშრომელი ქალი, 51 წლის შერონ ლაინი ყოფილ სამსახურში... თავზე ტრუსებჩამოცმული შევარდა და ფული მოითხოვა.** ეს კურიოზული შემთხვევა ამერიკის ოკლაჰომის შტატის ქალაქ მიდველსტის „მაკდონალდსის“ ერთ-ერთ სასაუზმეში მოხდა. ადგილზე დაკავებულმა მისის ლაინმა, რომელიც, როგორც გაირკვა, ნარკოტიკებსაც ეტანება, სამართალდამცველებს განუმარტა, რომ ფული ვალის გასასტუმრებლად დასჭირდა, რადგან ნასესხები თანხა მანამდე... კაზინოში წააგო.

უმუშევარი, ყაჩაღი, ნარკომანი და მოთამაშე ქალი ვარო სწორედ რომ მაგან უნდა თქვას!

## ნომრის კარიკატურა





რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 – +5 |
| ქუთაისი. | +4 – +13 |
| ბათუმი. | +3 – +15 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | -3 – +6 |

## ანეკდოტები

სოფლის დილა გათენდა. ფრინველი, ცხოველი იღვიძებს, დიასახლისი ყველას ეფერება.

– მუ-უ-უ! – ზმუის ძროხა.

– რაო, ლამაზო, კურო გინდა? – გავაზე ხელს უსვამს დიასახლისი.

იქით ღორი აღრუტუნდა.

– ტახი მოგინდა, არა? – ახლა მას ეფერება დიასახლისი.

უცებ ქათამი აკრიახდა.

– მამლის მოლოდინში ხარ? – საკენკს უყრის დიასახლისი.

ფანჯრიდან დიასახლისის ახალგამოღვიძებულმა ქალიშვილმა გამოიხედა.

– დილა მშვიდობისა, შვილო! – მიესიყვარულა დედამისი.

– ეჰ, დედი! ყველას ადამიანურად ელაპარაკები, მე კი მხოლოდ დილამშვიდობისაო, მეუბნები!..



მამაკაცი აფთიაქში მივიდა და ფარმაცევტს ეკითხება:

– ქალისათვის „ვიაგრა“ ან რაიმე მისი მსგავსი გაქვთ?

– ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ საიუველირო მაღაზიაში შეიძლება რაღაცის შერჩევა...

* * *

ცხოვრებას პოზიტიურად უნდა უყურო ადამიანმა. მაგალითად, თუ დენმა დაგარტყათ, ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ამაში არის როგორც მინუსი, ისე პლუსიც.

* * *

საშინლად აღგზნებული მოშე კაფეში მიდის და მის მეპატრონე ხაიმს აღშფოთებული უყვება:

– წარმოგიდგენია, მივდივარ სახლში და რას ვხედავ – ის ბოზბოლა როზენბლუმი ჩემს ცოლთან ჩემსავე ტახტზე არ ნებივრობს?

– მერე რა ქენი?

– რაც ნაღდ მამაკაცს უნდა გაეკეთებინა: ძალიან მომგებიან ფასად მივყიდე მას ის ტახტი!..

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.